

ივერია

ფასი ნომრისა 6 კაპიკი

№ 23

კვირა, 6 აპრილი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. 1877—1906 ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩივი:—ტფილისის ქართულ გიმნაზია, ფ. გოგიანიშვილი. — პატარა ფიქრები, ა.—ლ.სა. — ცოტადენი სტატისტიკა, ა.—სა. — სახელმწიფო ფინანსები. — ლ.სა. — მოქალაქობრივ თავისუფლება და ეკონომიური განვითარება, მ.—სა. — საჯარო წიგნთსაცავ სამკიხველოები, პ. ს.—შვილისა. — ადგილი (კ. ტიმოფეისა), თარგმანი ა. ხ.—სა.

ტფილისის ქართული გიმნაზია

აგერ ერთ წელიწადზე მეტია, რაც ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის შესახებ—სკოლის კედლებს შუა და მათ გარედაც—საშინელი „ბრძოლა“ გამართული. ეს ბრძოლა დღესაც არ არის დასრულებული და მისი სიცხოველეც არაა განვლებული. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ქაღალდი და მელანი დანახარჯა ხსენებულ „ბრძოლის“ საქმეზე, ბევრი ლამაზი „რეჩი“ წარმოითქვა სასკოლო საზოგადოების საჯარო კრებებზე, ერთი წელიწადია, როცა საკითხი სათავადაზნაურო სკოლას შეეხება, სული ერთსა და იმავეს ვკიხულობთ ვახეთების ფურცლებზე და ვისმინთ საჯარო კრებებზე: „გორგანიზაცია, სკოლის რეორგანიზაცია!“ თავიდანვე ეს „გორგანიზაცია“ ლოზუნგად იყო წამოყენებული და „ბრძოლაც“ მის გამოისობით იყო გაჩაღებული. და ერთი გადავხედოთ, მკითხველო, ამ ბრძოლის მსვლელობას, ჩაუვკვირდეთ სკოლის აკარგს, გავითვალისწინოთ ერთის მხრივ „რეჩებით“ დაპირებული რეორგანიზაცია და მეორის მხრივ სასწავლებლის ახლანდელი ნამდვილი მდგომარეობა, დაუპირდაპიროთ სიტყვის საქმე, „რეჩებს“—მოქმედება და მისი ნაყოფიერება. მერწმუნეთ, ეს საქმიად საინტერესოა და ჩვენებურ—ქართულ—საქმიანობის სახესებით დახასიათებელი.

იქნებ ვინმეს კიდევ გაუკვირდეს, ჩვენ რომ ვეტყვიოთ, რომ სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებელთა კორპორაციისაგან გამართული ბრძოლა და „რეფორმების“ მოთხოვნა მკიდრად შეკავშირებულია თანამედროვე განმთავისუფლებელ მოძრაობასთან. საქმე ის არის, რომ სკოლის კომიტეტის უფლებების შესაკვეცად და ესრედ წოდებულ „საპედაგოგო ავტონომიის“ მოსაპოვებლად პედაგოგები ამოძრადენ და ამხედრდენ შარშან, სწორედ მაშინ, როცა ძლიერი სახალხო მოძრაობა ამობოქრდა მთელს რუსეთში და კიდევ უფრო—ჩვენს პატარა სამშობლოში. ეს არ გახლავთ უბრალო „совпадение“, არ მომხდარა შემთხვევით, რომ ჩვენი პედაგოგების „რეფორმატორობა“ სწორედ მაშინ დაიწყო, როცა მთელი ხალხი ფეხზე დადგა მთარობასთან საბრძოლველად. უეკველია, საერთო მოძრაობამ მათხედაც გავლენა იქონია და ამოძრავა. ასე რომ არ იყოს, სად იყვენ იგივე პედაგოგები შარშანდლამდის, თუ სკოლის იმდენი ნაკლულეგანება ჰქონდა, რამდენიც მათ ამ ერთი წლის განმავლობაში დასახლეს, თუ სკოლის კომიტეტის

„უფლებიანობა“ და მასწავლებელთა „უფლებობა“ ისე საშინლად მოქმედობდა სკოლის ყოფა-მდგომარეობაზე, როგორც ეს მათ მოგვითხრეს ამ უკანასკნელ ხანებში, სად იყვენ ისინი წინა დროს და რატომ ხმას არ იღებდენ? იქნებ ვინმემ კითხვის პასუხად კითხვითვე გვიპასუხოს: სად იყო შარშანდლამდის ხალხი და რატომ რეფორმაციას არ ეწეოდა, მაგრამ, მოგვხსენებთ, ხალხი გაუნათლებელია და მასში პოლიტიკური შეგნება-ცნობიერება თანდათან ვრცელდება და ამიტომ ხალხის წინანდელი სიწყინარე და აუჯანყებლობა არ ამართლებს სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელთა სიჩუმეს და ხმის ამოუღებლობას. რაღა შარშან იგრძნეს და დინახეს იმათ სკოლის რეფორმის საკიროება და არა, ვთქვით, ხუთისა და ათის წლის წინანდ: სკოლის კომიტეტს ხომ არც ხელმწიფისა და არც სამინისტროს უფლება და ძალა არ ჰქონდა, — მას არ ჰყავდა არც ჯარი, არც თანდარმერია, მას არ შეეძლო იდეურ ოპოზიციის გამომცხადებელ მასწავლებელთა არც დატუსაღება, არც ციხირობაში გადასახლება. მაშ რამ დაუშალა ინტელიგენტ განათლებულ ხალხს, თუ მათ სკოლაზე მართლა გული შესტკიოდათ, რამ დაუშალა, — ვკითხულობთ ჩვენ, — რომ სკოლის ნაკლულეგანება შარშანდლამდისაც დაენახათ და თავიანთ შეხედულობის თანახმად სასწავლებელში ცვლილება და გაუმჯობესება მოეთხოვათ? რაღა სწორედ მაშინ გაახსენდათ „ავტონომია“ და „პედაგოგიურ საბჭოს თავისუფლება“, როცა ჩიტებიც კი ჭიკჭიკობდენ სახლების სახურავებზე: „ძირს თვითპყრობელობაო?“ უნდა ვიფიქროთ, რომ მათზე ამ საერთო ხმამ იქონია გავლენა და ალაპარაკა, რაც ფრიალ სამწუხარო ნიშანია, შეგნებულობის მხრივ, მათი პედაგოგიურ მოღვაწეობის დასახსიათებლად..

საერთო განმთავისუფლებელმა მოძრაობამ სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგთა კორპორაციის მისცა არა მარტო ზოგადი აზრი სკოლის მართვა-გამგეობაზე საჯაროდ ლაპარაკის დაწყებისა, — მანვე მისცა მათს ბრძოლას ელფერი და გარეგანი გამოხატულებაც. მშრომელ ხალხის დღევანდელ მოძრაობას, როგორც ყველამ იცის, ორი მხარე აქვს: ა) ბრძოლა თვითპყრობელ ბიუროკრატისა და ბ) კაპიტალის წინააღმდეგ. ორივე ეს ელემენტი მზა-მზარეულად შეტანილ იქნა სკოლის შენობაში. ქართული სასწავლებელი წარმოდგენილ იქნა ბიუროკრატის — ე. ი. კომიტეტის — მიერ კაპიტალისტურად წარმათულ ფაბრიკად, პედაგოგებმა თავიანთი თავი დასახეს პროლეტარ მუშებად, და „კლასობრივ“ წინააღმდეგ გაჩაღდა ბრძოლა. პედაგოგები ებრძოდენ „ბიუროკრატის“ (კომიტეტს) და თხოულობდენ „თავისუფლებას“ (ეს გახლავთ ელემენტი პოლიტიკური, განმთავისუფლებელ მოძრაობიდან გადმოღებული), თხოულობდენ შრომის შემცირება და გა-


სამრჯელოს მომატებას (სწორედ იმას, რასაც მუშა ხალხი თხოულობს წარმოებაში კაპიტალისტურ ექსპლოატატორებისგან) და ამ მიზნის მისაღწევად სახმარ საშუალებად ასახელებდენ მათს—პედაგოგთა—გაფიცვას, გაკვეთილებზე ხელის აღებას (სწორედ ისე, როგორც მუშები გაიფიცებინან ხოლმე ფაბრიკებში),

რასაკვირველია, ყოველი საქმეში ჩახედული ადამიანი ჩვენს პედაგოგებს დაეთანხმება, რომ სკოლის წარმატებისთვის სასარგებლო არის მასწავლებელთა კორპორაციის ჰქონდეს. საპედაგოგო საქმეებში დამოუკიდებლობა, მაგრამ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი ამ ფარგლის ავტონომიას არ დაკმაყოფილდენ და კომიტეტს თითქმის ყველა უმაღლეს ზედამხედველობისა და მართვა-გამგეობის უფლება ჩამოაცალებს. კომიტეტს, რომელიც არჩეული ორგანოა იმ საზოგადოებისა, რომელიც სკოლას პატრონობს და ინახავს, პედაგოგებმა თითქმის მარტოდენ ხაზინადრის როლი დაუტოვეს და სხვა ყველა უფლებები თვითონ დაისაკუთრეს. ამ უფლებების მოსაპოვებლად შარშან საშინელი ბრძოლა იყო გაჩაღებული, რომელზედაც აუარებელი ენერჯია და შრომა დაიხარჯა და რომელიც ბოლოს მასწავლებელთა სრულის გამარჯვებით დასრულდა. ჩვენ თავის დროზე გამოვთქვით ჩვენი აზრი, თუ როდენ ცალმხრივია ასეთი გადაწყვეტილება და როდენ საზარალო იქნება სასწავლებლისთვის ესოდენ უსაზღვრო კომპეტენციის მინიჭება მასწავლებელთა კორპორაციისთვის.

მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვქონია შემთხვევა გვეთქვა რამ იმ ცუდილებაზე, რომელიც მასწავლებელთა ჯამაგირისა და მათი სამუშაო დროის რაოდენობას შეეხება. ეს საგანი ამ ზაფხულს გადაწყდა სასკოლო საზოგადოების კრებაზე და გადაწყდა ისე, როგორც მასწავლებელთ სურდათ. თუ ამ საგანს ჩაუფიქრდებით, მკითხველო, არა მგონია ძალაუფლებურად შეემა ფიქრებმა არ გაგიტაცოს და ჩვენი ზნეობრივი შემეცნება ბნელად არ წარმოგდგეს. და ამ გვარ პესიმისტურ ფიქრებს ექნება კიდევ საფუძველი. ნუ დაივიწყებთ, რომ აქ ჩვენ თვალ წინ გვყვანან განათლებული კაცები, მასწავლებლები, ახალთაობის აღმზრდელები და თუ მათს მოჰქმედებაში ზნეობრივ შემეცნების მხრივ რაიმე თვალსაჩინო კილს ხედავთ, რაღა უნდა ვიფიქროთ იმაზე რომელიც მათი აღზრდილნი არიან და იქნებიან შემდეგში? ჩვენ იქნებ ვაკარბებდეთ? აი, განსაჯეთ: ამიერიდან თითოეულ მასწავლებელს დღეში უნდა ექმნეს სამი გაკვეთილი და ჯამაგირად უნდა მიეცეს წელიწადში 2400 მან. გარჩევა არ არის დაბალ და მაღალ კლასების მასწავლებლებს შორის, ყველას ერთნაირი ჯამაგირი ეძლევა. ეს მოითხოვეს მასწავლებლებმა და დააკანონებინეს კიდევ უკანასკნელ საზოგადო კრებას. რა არის აქ საკვირველი ან სამწუხაროვო, — იკითხავთ თქვენ. რა თქმა უნდა, არა როდენობა ჯამაგირისა. თუმცა ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია ერთნაირ ჯამაგირის დანიშვნა ყველა კლასების მასწავლებელთათვის, თუმცა ასევე შეცდომად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელს ერთი და იგივე ჯამაგირი ეძლეოდეს თავის სამსახურის პირველ წელიწადს და, მაგალითად მეთუ წელიწადსაც, მაგრამ ამაზე ახლა ლაპარაკს არ გავაბამთ. თავის თავად 2400 მ. დიდი ჯამაგირი არ არის საშუალო სასწავლებლის მასწავლებლისთვის. არა თუ 2400 მან., სამასი თუმანიც რომ დაენიშნათ ჯამაგირის ნორმად, ჩვენ მაშინაც არ მივიჩნევდით ამას გადამეტებულად, თუ ამ

ჯამაგირის პირისპირ დაყენებული იქნებოდა შესაფერი შრომა და გარჯა მასწავლებლისა. მაგრამ საეკონომიკურ სწორედ ის არის, რომ ჩვენმა პედაგოგებმა, ფაბრიკის მუშებთან, „ნაკლები შრომა და მეტი ქირა“ წამოაყენეს თავის დევიზად ჯამაგირის ახალ ნორმის დაწესების დროს მათი მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ თავიანთი სამუშაო დრო შემცირებინათ. უამისოდ მათ წინადაც არ ეძლეოდათ 2400 მან. ნაკლები ჯამაგირი. თუ სკოლის დაბეჭდილ ანგარიშებს გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ მათ, მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებს გარდა, 2400 მანეთზე თუ მეტი არა, ნაკლები არ ჰქონიათ ჯამაგირად. მაგრამ მაშინ მომეტებულ ჯამაგირის მისაღებად ისინი იძულებული იყვენ გაკვეთილები ბოლომად აეღოთ და მეტი ემუშავათ. ახალის ნორმით კი დაწესებულია დღეში სამი გაკვეთილი და ამისთვის ზემოაღნიშნული ჯამაგირია დანიშნული. და ამგვარად, მთელი „რეფორმა“ ჯამაგირებისა უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებელთ შრომა შეუმცირდათ და ჯამაგირი კი არ მოჰკლებიათ. და ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად ჩვენ გვესმის და სამართლიანად მიგვაჩნია, როცა ფაბრიკის მუშა ცდილობს სამუშაო დრო შემციროს და ქირა მოიმატოს რადგან მისი შრომით ფაბრიკანტი მდიდრდება. მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ განათლებულ ხალხზე, რომელიც ქართულ დაწესებულებაში უნდა შედიოდეს ეროვნულ იდეით გამოსწავლული, — იმ განზრახვით, რომ მთელი თავისი ძალადონე მონადომოს ნაკისრებ საქმეს, მთელის ენერჯიით ემსახუროს იმ მიზანს, რომლისთვისაც გაჩენილია ის ქართული დაწესებულება, — რას იტყვით იმ განათლებულ ხალხზე, რომელიც, ნაცვლად ამისა, ამ დაწესებულებას საექსპლოატაციო კაპიტალისტურ ქარხნის დონეზე აყენებს და იმას ცდილობს, რომ, რაც შეიძლება, შრომა შეიმციროს და ჯამაგირი გაიდილოს?

და მერე იცით, — შემცირებაც არის და შემცირებაც. აი, იანგარიშეთ: სკოლაში თითო გაკვეთილი გრძელდება 45 წუთს, მაშასადამე სამი გაკვეთილი შეადგენს 2 საათს და 15 წუთს. ეს არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც ახალის „ნორმით“, უნდა იმუშაოს ყოველ დღე მასწავლებელმა სკოლაში. მართალია, ამ გადაწყვეტლებას თან ახლავს ფორმისთვის დავალება, რომ მასწავლებელმა სკოლაში აღმზრდელის როლიც უნდა შეასრულოსო, მაგრამ რახან პანსიონი მოსპეს ამ დავალებას არავითარი განხორციელება არ დასჭირდება, ვინაიდან გაკვეთილების დროს მოწაფეები კლასებში არიან და ცალკე აღმზრდელებს მათთან არავითარი საქმე არა აქვთ. ვიანგარიშოთ, დღიური 2 საათისა და 15 წუთის შრომა რამდენს შეადგენს თვის განმავლობაში. საშუალო რიცხვით თვეში მხოლოდ 24 დღეს სწარმოებს სწავლა სკოლებში, დანარჩენი კვირაუქმეებია. 24-ზე გამრავლებული 2 საათი და 15 წუთი შეადგენს 54 საათს. ეს იმას ნიშნავს, რომ სათავად-აზნაურო სკოლის თითოეულ მასწავლებლის თვიური სამუშაო დრო სკოლაში უდრის 54 საათს. როგორც ხედავთ, ეს ბევრი არაა, მაგრამ დახედეთ ქვევით: სასწავლებელში სწავლა სწარმოება არა მთელ წელიწადს, არამედ დაახლოებით მხოლოდ 7 თვის განმავლობაში; მაშასადამე მთელი წლიური საკოლო მუშობა მასწავლებლისა შეადგენს 378 საათს ანუ საშუალოდ დღეში 1 საათს და 2 წუთს. თუ ამას რვა საათთან სამუშაო დღეზე გადავიტანთ, გამოვა სწორედ 47 ასეთი დღე.



ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი 47 რვა საათიან სა-
მუშაო დღეში იღებს სულ 2400 მანეთს ანუ დღეში 51 მა-
ნეთს. არა მგონია, დედამიწის ზურგზე იყოს სადმე ისეთი
სასწავლებელი, სადაც მასწავლებელს წლიურად 378 საათის
მუშაობაში 2400 მანეთს აძლევდნენ.

ვიმეორებთ, ორას ორმოცი თუმანი თავის თავად ჩვენ
დიდ ჯამაგირად არ მივაჩნია, მაგრამ არ დაფარავთ და ვი-
ტყვიოთ, რომ სიმახინჯეა, როცა ასეთ გასამრჯელოს თხოუ-
ლობს ქართველი ინტელიგენტი — და ისიც საზოგადოებრივ
დაწესებულებისაგან — დღიურად ერთი საათის მუშაობაში. მა-
ტერიალურად უზრუნველყოფის მოთხოვნა მუშაკის მხრივ
სრულიად კანონიერი მოთხოვნაა, მაგრამ ამ მოთხოვნას
რამდენადმე მაინც შესაფერი შრომა და გარჯა უნდა ამა-
რთლებდეს. სასკოლო საზოგადოების უკანასკნელმა კრე-
ბამ ფეხმარად გადასწყვიტა ეს საკითხი და ენუქსასვით
ხელგაშლილად დააწესა ჯამაგირების ნორმები, ხოლო ის კი
ალარ უფიქრია, თუ რა ცვლილებას მოახდენდა ასეთი „რე-
ფორმა“ სკოლის ხარჯებში. თუმცა პანსიონი გააუქმეს და,
მაშასადამე, სპეციალურ აღმზრდელების ადგილებიც მოისპო
და ამიტომ ამ მხრივ შესაძენვეი ხარჯი მთავალდა სასწავლე-
ბელს, — მიუხედავად ამისა, როგორც ვაზ. „შრომაში“ დაბე-
ჭილ წერილის (№ 92) ავტორი გადმოგვცემს, ხარჯმა აიწია
18000 მანეთით. ეს ხარჯების გადიდება უმთავრესად იმის
წყალობით მოხდა, რომ თითოეულ მასწავლებელს შრომა შე-
მკირდა და ამიტომ საერთოდ სასწავლებლის გასაძღოლად
მეტ მასწავლებელთა დაქირავება არის საჭირო. ამას უბრალო
მაგალითი დაგანახებთ. თუ ახლა დღეში სამ გაკვეთილის
კვალობაზე სკოლისთვის 25 მასწავლებელი არის საჭირო,
უთ-ხუთ გაკვეთილის კვალობაზე, ესე იგი თითოეულ მასწავ-
ლებელს დღეში რომ ხუთი გაკვეთილი ჰქონდეს დაკისრე-
ბული, მთელ სასწავლებელს საერთოდ დასჭირდება მხოლოდ
15 მასწავლებელი. აქ 10 კაცის ყიბრათი არის, რომელთა
ჯამაგირი 24000 მანეთს უდრის. ეს ანგარიში მარტოდენ
დაახლოვებითა და გვიჩვენებს მხოლოდ, თუ რა დიდი ფი-
ნანსიური მნიშვნელობა აქვს გაკვეთილების რიცხვის შემცი-
რებას და, მაშასადამე, სასწავლებელში მასწავლებელთა გამ-
რავლებას. უკანასკნელმა საზოგადო კრებამ ამაზე თავი არ
შეიწუხა, არც კი გამოუძიებია დაწვრილებით, თუ ასეთი
ცვლილება რამდენად გაადიდებდა სკოლის ხარჯთაღრიც-
ხვას, — და სწორედ ენუქსის სიმარდით და გულუხვობით
„დაუწესა“ მასწავლებლებს სამ-სამი გაკვეთილი და უფულო კა-
სიდან ორას ორმოცი თუმანი ჯამაგირი.

სათავად-აზნაურო სკოლის „რეორგანიზაციის საკითხი“,
გარდა პედაგოგიურ საბჭოს ავტონომიისა და მასწავლებელ-
თა ჯამაგირებისა, სასწავლებელში სწავლების ცვლილებასაც
შეეხებოდა. შარშან შემოდგომაზე სკოლის კომიტეტმა შუა-
მდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე და ნებართვაც მიიღო,
რომ სკოლას ამიერიდან ეწოდებოდეს „ტფილისის ქართული
კერძო გიმნაზია“. წრევანდელ საზოგადო კრებას მსჯელობა
ჰქონდა გიმნაზიაში სწავლების შეცვლის შესახებ და ხმის უმე-
ტესობით გადასწყვიტეს, რომ სასწავლებელში სწავლება ქარ-
თულ ენაზე იქნას მოწყობილი.

ამგვარად, სამი მთავარი ცვლილება მოხდა ტფილისის
სათავად-აზნაურო სკოლაში: მასწავლებელთა კორპორაციის
მიეცა დამოუკიდებლობა, დაწესდა ჯამაგირების ახალი ნორ-
მა და გადაწყვეტილ იქნა „ქართულ გიმნაზიის“ შინაარსი-

თაც ქართულად გადაქცევა, ე. ი. მასში სწავლების ქართულ
ენაზე მოწყობა.

მაგრამ, საუბედუროდ, რისავე მარტოდენ დაწესებ-
ან „გადაწყვეტა“ საკმარისი არაა თვით იმ „გადაწყვეტილ“
ან „დაწესებულ“ საქმის განსახორციელებლად. ამისთვის საჭი-
როა უფრო მეტი რამ, ვიდრე კრებაზე ლამაზ სიტყვების წარ-
მოთქმა, ან საკითხის გადასწყვეტად ყუთში კენჭების ჩაგდება.
ტფილისის ქართულ გიმნაზიის ყოფა-მდგომარეობაც, თუმცა
ამ უკანასკნელ ერთის წლის განმავლობაში საზოგადო კრე-
ბაზე ხმის უმეტესობით რამდენიმე ძირითადი ცვლილება იქ-
მან დაწესებული, ჯერ-ჯერობით იოტის ოდნადაც არ არის
გაუმჯობესებული და, სამწუხაროდ, ეს გაუმჯობესება ახლო
მომავალშიაც არაა მოსალოდნელი...

ფ. გოგინიაშვილი.

(დასასრული იქნება.)

პატარა შიშრები

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია ერთი წლით და-
იკეტა. ერთად-ერთ ქართულ გიმნაზიის დაკეტვა მთელი წლით
მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენს უფერულ შინაურ ცხოვრებაში,
ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მან დიდი მითქმა-მოთქმა და
ლაპარაკი გამოიწვია საზოგადოებაში. ზოგი ლაძღაღს გამგე
კომიტეტს, რომელმაც რამდენიმე ათასი მანეთი ვერ იშოვა
და ბინა ვერ დაიქირავაო, ზოგი ამართლებს კომიტეტის გა-
დაწყვეტილებას და ამბობს, სულ ერთია, ეხლანდელი თაობა
მოსწავლეებისა ისედაც დაკარგულ თაობად უნდა ჩაითვალოს
და რა საჭიროა მასზე იმოდენა ფულის დახარჯვაო, ზოგი
კი ობიექტიურ ტრიბუნაზე აღის და პესიმისტურად დასცქე-
რის ქართველ ერს, რომელმაც ათას მანეთის შოვნა ვეღარ
მოახერხა და რამდენიმე ასი ახალგაზდა დაღუპაო.

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმეების არე-
დარეგამ დიდი ხანია საზოგადოების ყურადღება მიიქცია.
ყველამ იცოდა, რომ გიმნაზია ყოველ მხრივ გათახსირებული
იყო, ყველა ამბობდა, რომ გიმნაზიაში სრული დეზორგანი-
ზაცა არისო, გიმნაზიელნი არაფერს არ აკეთებენ, განა-
თლებით და განვითარებით სახაზინო გიმნაზიელებზედაც კი
დაბლა დგანან და, თუმცა ამ სასწავლებელმა რამდენიმე ახალ-
გაზდა გაგზავნა უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ არც ერთ
მთაგანს დღემდის არაფერი გაუკეთებიაო. ერთი სიტყვით,
მთელ სასწავლებლის მდგომარეობას ოთხი სიტყვით ახასიათე-
ბდენ: არავინ არაფერს არ აკეთებს. წინანდელ უსაქმურო-
ბას უკანასკნელი მოძრაობაც მიეშველა, რომელიც ნია-
ღვარივით შევარდა ქართულ გიმნაზიაში, იქაურობა წალკა...
შარშან და წრეულსაც მთელი თვეობით გოლოვინის პროს-
პექტი დილიდან საღამომდის სავსე იყო ქართულ გიმნაზიის
მოსწავლეებითა და მასწავლებლებით. ყველამ ისიდანდაც
ჯამაგირებს იღებდენ, სვამდენ, სჭამდენ, იცვამდენ და არა-
ფერს არ აკეთებდენ. წლის ბოლოში მოსწავლენი კისერზე
შეასხდენ მასწავლებლებს და ხელი მოაწერანეს ულტიმა-
ტუმზე; ყველანი გადავიყვანეთ შემდეგ კლასებში, თორემ
გიმნაზიას მთლად გავანადგურებთო. მასწავლებლებმა დაუთმეს
და ის მოსწავლენი, რომელნიც მესამე და მეოთხე კლასებში
უნდა ყოფილიყვენ თავიანთ ცოდნით, მეექვსე და მეშვიდე
კლასებში გამოსქიმეს. საერთო უთავბოლობასა და უსაქმუ-
რობას ზედ დაერთო გიმნაზიის აკლება და ინსპექტორის ჩი-

ტადის მოკვლა. ეს აკლება გიმნაზიას რამდენიმე ათი ათას მანეთად დაუჯდა. შეუძლებელი იყო ძველ შენობაში დარჩენა და ჯერჯერობით არც ახალი შენობა დამთავრებული. გარდა ამისა, წრეულს შეწოდგომიდან უნდა დაწყებულიყო გიმნაზიის სრული რეორგანიზაცია ყოველ მხრით უნდა აერჩიათ ახალი მასწავლებლები, შეედგინათ ახალი სახელმძღვანელოები და ახალ სისტემაზე დაეწყოთ სწავლა. მოსალოდნელი იყო ახალი ზედ მეტი დიდი ხარჯი ჯარის მიერ განადგურებულ ნივთების შექენაზე, შტატის გარეშე დარჩენილ მასწავლებლების პენსიაზე და სხვ. და სხვ. ვთქვათ, გამგე კომიტეტი იშოვიდა საქირო ფულს, მაგრამ სწორედ აქ არის დამარბული მთავარი საბუთი გიმნაზიის დაკეტვის მომხრეებისა: რად უნდა დაიხარჯოს ამოდენა ფული ტყუილ უბრალოდ? რა ნაყოფს გამოიღებს ამდენი ხარჯი და შრომა? ეხლანდელი თაობა ქართულ გიმნაზიისა იმდენად გაუსაქმურებულა, რომ მათი გამოსწორება შეუძლებელიაო. ამგვარ ყმაწვილების გამოსწორება გამასწორებულ კოლონიის საქმეა, საშუალო ეროვნულ სასწავლებელს კი სხვა მიზანი აქვსო.

სრული ქეშმარიტებაა, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევრად გადაწყვეტა გახლავთ. თუ კომიტეტი ქართულ გიმნაზიის გადაკეთებას შეუდგა, საქმარისი არ არის მისი დაკერება და აქა-იქ ჩამონგრეულ ადგილების შეღესვა. საქიროა კაპიტალური რემონტი, საქიროა საქმის ხელახლად დაწყება და ძველ შენობის სრული გადაკეთება. დღემდის ჩვენ უმთავრეს ყურადღებას იმას ვაქცევდით, რომ ყოველ წლივ რაც შეიძლება ბევრს დაესრულებინა სწავლა და ყველანი უნივერსიტეტებში გაგვეგზავნა, მაგრამ ჰქონდა თუ არა მათ რაიმე ცოდნა, ან იქნდნენ თუ არა ისინი უმაღლეს საწავლებლებში ახალ ცოდნას, — ეს ჩვენ ან ნაკლებად ან სულ არ გვანტერესებდა. სამოსწავლო გეგმის შეცვლისთანავე უნდა შეიცვალოს ზემოხსენებული პოლიტიკაც. ამისათვის საქიროა ეხლანდელ მოსწავლეთა გადარჩევა, წმინდა „სორტიროვკა“, ხელახლა გამოცდა და ყოველ მოსწავლის აწონ-დაწონა.

ადვილი გასაგებია მათი ჩივილი, რომელნიც თითებზე ანგარიშობენ მომავალ წლის დანაკლისს, მაგრამ ვინ დაგვიდგებოდა თავმდებად, რომ წრეულსაც ოქტომბრიდან სწავლა არ შესწყდებოდა და მოსწავლენიც და მასწავლებლებიც კიდევ მთელ წელიწადს არ დაჰკარგავდნენ? ასეთ თავმდებობას ვერაფერ იკისრებს. პირიქით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წრეევანდელი წელიწადი სასწავლებლისათვის უფრო უარესი იქნება შარშანდელზე: პოლიტიკური პორიზონტი ისე მოიღრუბლა, რომ შეიძლება ატეხილმა გრივალმა რამდენიმე წლით გამოიყვანოს სკოლა თავის კლაპოტიდან.


* *

თუ ვისმე უნდა გაიგოს, რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში და რა პროცენტს შეადგენენ ქართველები საქართველოში დასახლებულ სხვა ერებთან შედარებით, იმან ან ოფიციალური კავკასიის კალენდარი უნდა გადაშალოს, ან ისევ ოფიციალური საყოველთაო აღწერა 1897 წლისა. სხვა წყარო და მასალა არ მოიძებნება. მაგრამ გადაშლით თუ არა ოფიციალურ სტატისტიკას, ხელში სტატისტიკა უნდა გექიროთ, წინ ქაღალდი გელოთ და კარგად იცოდეთ ოთხი არითმეტიკული მოქმედება. თქვენ იქ წააწყდებით ასეთ რუბრიკებს: ტფილისის გუბერნიაში ცხოვრობენ ამდენი და ამდენი ქართველი, ამდენი და ამდენი ფშავი, ამდენი და ამ-

დენი თუში, ხევსური, იმერელი, მაჰმადიანი და სხ. ქუთაისის გუბერნიაში სცხოვრობენ ამდენი და ამდენი იმერელი, ამდენი და ამდენი რაქველი, გურული, სვანი, მეგრული, მაჰმადიანი (განხსნავება არ არის ოსმალელ მაჰმადიანებსა და ქართველ მაჰმადიანთა შორის) ებრაელი და სხ. თქვენ იძულებული ხართ, — ისიც თუ იცით, რომ ქართველი, გურული, თუში და იმერელი ერთ ეროვნებას შეადგენენ, —რიცხვები ერთმანეთს მიუმატოთ, გამოაყოლოთ, პროცენტები გამოიანგარიშოთ და ბოლოს იქნება როგორმე მიიღოთ საქირო ცნობა, რომელიც მარცხ იმდენად ეგვეანება ქეშმარიტებას, რამდენადაც თქვენ ჰგებხართ აბესინიის იმპერატორს. ვინც სტატისტიკის შედგენის წესრიგი და საიდუმლოებანი არ იცის, ის ყურადღებას არ მიაქცევს ასეთ რუბრიკებს და იფიქრებს, ეს ალბად ტერიტორიული სტატისტიკა არისო, მაგრამ ცოტა ზევით რომ აიხედოს, ასეთ წარწერას დაინახავს: Составъ населенія по національностямъ“, ქვევით კი ჩამოთვლილია: ქართველები, იმერლები, გურულები, სვანები, გურულები, თუშები, ხევსურები და ფშაველები. უცხოელს გგონება, ვითომ ქართველი ეროვნება 300000, სულისგან შესდგება, იმერელი „ეროვნება“ 400, 000-საგან, გურული — 100, 000 საგან და სხ. მერე თქვენ გგონიათ, რომ რუსის მთავრობას ეს უცოდინრობით მოსდის? აბა ეს რა დასაჯერებელია! ასეთ ახირებულ სტატისტიკას თავისი პოლიტიკური და „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობა აქვს და გამოგანილია, ვითარცა მძლავრი არგუმენტი ეროვნულ მოძრაობისა და „პრეტენზიების“ წინააღმდეგ. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მთავრობის „სტატისტიკას“ და ქართველ ერის დაკუწმარებას და გვეგონა, რომ მისი სტატისტიკა და ქართველების გაყოფა გურულებად, იმერლებად, ხევსურებად და თუშებად ბავშვური თავის გართობა და თავის თავის მოტყუებაა, მაგრამ თურმე ნუ იტყვთ, ტფილისის ქალაქის გამგეობაც ამავე აზრისა ყოფილა. ამ ყამად ქალაქის გამგეობა სტატისტიკურ ცნობებს აგროვებს მცხოვრებთა შესახებ. სტატისტიკურ ფურცლებზე, რომელიც გამგეობამ შეადგინა, სხვათა შორის, რუბრიკაც გახლავთ: ქართველი, იმერელი, გურული და სხ. ბოლოს, როცა აღწერას გაათავებენ, გამოვა, რომ ტფილისში სცხოვრობს 20, 000 ქართველი, 10, 000 იმერელი, 10000 გურული, 5000 მეგრელი, 80, 000 სომეხი, 70, 000 რუსი და 20, 000-სხვა და სხვ. ეს „ცნობები“ მთელ ქვეყანას მოეფინება და ყველა, ვინც კი საზოგადოდ ამიერკავკასიისა და კერძოდ ტფილისის სტატისტიკის გაცნობას მოინდომებს, უკებ დარწმუნდება, რომ ტფილისში 20, 000 ქართველია და 80000 სომეხი, მაგრამ ამას კი ვერ გაიგებს, რომ 80, 000 სომეხიდან მხოლოდ 20-30, 000 ლაპარაკობს თავის სამშობლო ენაზე. მოდი და მოითხოვე საქართველოს ავტონომია, რომელსაც სეიმი სხვის ტერიტორიაზე ექნება! მაგრამ აქ საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ ქალაქის გამგეობის მდივანი და თავმჯდომარე ქართველები არიან და ის კი აღარ იცან, რომ ქართველი და იმერელი ერთ ეროვნებას შეადგენენ. ქართველ ერის ასეთ დანაწილებით ჩვენ ვამტკიცებთ ჩვენსავე ეროვნულ უფიცობას და ნახევრად გავამართლებთ რუსეთის ბიუროკრატისა და ტფილისის ქალაქის გამგეობის ქარაფშუტულ პოლიტიკას.

* *

ექვსიოდე თვის წინად არაფერ არ იცოდა, რომ კავკასიონის მთების კალთებზე, მიყრუებულ საშაბურაში ცხოვ-



რობდა ვინმე მღვდელი სიმონ წერეთელი, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ კვირა-უქმე დღეობით უნდა ეწირა, თუ მოკვდებოდა ვინმე, — დაემარხა, დაიბადებოდა, — მოენათლა, მთელი თავისი სიცოცხლე ანაფორაში გაეტარებინა და დრო გამოშვებით თავის დიაკვნთან ერთად ურმით ჩამოეწლო მრევლი და ტომრები დაეტრნა საღრამო გადასახადებით, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას მღვდელს ექვი შეეპარა სახარებაზე, რომელიც გვერდზე გადასდო და მარქსის სახარებას მოჰკიდა ხელი. რაღაც მიზეზით მღვდელი დააპატიმრეს და, თუმცა მას არც ჯვარცმა და არც ეკლის გვირგვინი არ მოელოდა, მაგრამ ის მაინც ხალხისთვის ტანჯულ წმინდანთა სიაში მოექცა...

ზოგიერთები ამბობენ, ვითომ ხალხი არას დროს არ სცდება და თავის წარმომადგენლად ირჩევს იმ კაცს, რომელიც საუკეთესოდ დაიცავს მის ინტერესებსაო. ეს აზრი წერეთელზე თავისებით გაპართადა. მან ანაფორა გაიხადა, წვერი გაიკრიჭა და თავისი კანდიდატურა წამოაყენა სათათბიროში სრულიად რუსეთის სოც. დემ. პარტიის ლოცვა-კურთხევით. ხალხმა ლ. ანდრონიკაშვილი და ა. ხახანაშვილი გააშავა და სვ. წერეთელი აირჩია. როცა ეს ამბავი გავიგე, ჩემ თავს ასეთი კითხვა მივეცი: ნუ თუ მე უნდა დავემორჩილო იმ კანონებს, რომლებსაც სვ. წერეთელი და მისნი მსგავსნი გამოსცემენ მეთქი? მაგრამ თავი დავანებოთ ამ კითხვას: ხალხმა თავის წარმომადგენლად ის აირჩია, ვინც მას მოსწონს და უმცირესობა ძალაუფლებურად ემორჩილება ამ მოვლენას. ეგ ხომ ძველი ამბავიაო, — მეტყუის მკითხველი. ძველია, დაქანგებული ამბავია, მაგრამ ეს ძველი ამბავი მშვენივრად ამტკიცებს, რომ ძალიან ხშირად ხალხმა არ იცის ის, რასაც სჩადის და მისი მოტყუება და ყინულზე გაცურება დღესაც ისევე ადვილი ყოფილა, როგორც ადვილი იყო, მაგალითად, არტაქსერქის დროს.

ერთი წლის წინად, როგორც მოგეხსენებათ, მთელმა საქართველომ სრული ბოიკოტი გამოუცხადა პოლიციას და სამღვდლოებს. ბოიკოტისტებს სათავეში ჩვენებური სოც. დემოკრატები უდგენ, რომელთა შორის წერეთლის ანაფორაც ერთია. მაგრამ მოვიდა დეკემბრისა და იანვრის ისტორიული ხანა და წერეთელიც თავის ანაფორით დუშეთის სატუსალოში გაჩნდა. სატუსალოში წერეთელს გაახსენდა, რომ საშაბუროს მრევლს მისი 220 მანეთი მართებს და ცრემლიანი თვალები მიაპყრო იმ მთავრობას, რომელსაც ის წინად გაცხარებული ებრძოდა. „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბრძანება გასცეთ, რომ საშაბუროს მრევლს ჩემი ხვედრი ვალი გადაახდევინონ და ჩამაბარონ.“ ასე სწერდა წერეთელი სატუსალოდან დუშეთის ჯარების უფროსს, პოლკოვნიკ დიკს, რომელმაც ეს თხოვნა მან-ის უფროსს გადასცა „შესასრულებლად“. „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გაისარჯოთ და შემატყობინოთ, რანაირი ბრძანება გასცა დუშეთს ჯარების უფროსმა ჩემი თხოვნის გამო, შესახებ იმისა, რომ საშაბუროს მრევლს გადაახდევინოთ ჩემი ვალიო“, სწერდა ორიოდ კვირის შემდეგ მომავალი ხალხის „წარმომადგენელი“. დუშეთის მაზრის უფროსს გაუწყრა: „ამ საქმის შესახებ დუშეთის მაზრის ჯარების უფროსმა დიდი ხანია შესაფერი ბრძანება გასცა, მაგრამ დღემდის შესრულებულ არ იქნაო.“ ბევრ ხანს ალოდინეს ხალხის „მეგობარი“ ხუცესი, რომელიც ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა და თავის მოადგილე მღვდელს მის-

წერა, ჩემი ვალები ააქრეფინეთ და აქ გამოგვიგზავნეთ. თუ ჩემ თხოვნას არ შეასრულებთ, ხელი აიღეთ ჩემ მრევლზე, რომ რემ. „მაგას ვერ მოვიტყენო“.

მე ვერ ვბედავ „ჩვენს“ წადებუტატევ სიმონ წერეთელს ის სახელი ვუწოდო, რომელიც მან დაიმსახურა, მაგრამ მეორე მხრით ბ-ნი წერეთელი არც არის დიდი საყვედურის ღირსი. რა მისი ბრალია, თუ ჩვენებურმა სოც. დემოკრატებმა ერთხმად დაასახელა დებუტატად ს. წერეთელი? რა მისი ბრალია, თუ ის. რამიშვილმა, ნ. ჟორდანიამ, კოპიტეტებმა, ბიუროებმა და კოლექტივმა წერეთელი არჩიეს ლ. ანდრონიკაშვილისა და ა. ხახანაშვილის მსგავს კანდიდატებს. და ეს ხალხის წინაშე იმის მაგივრად თვითონ უნდა იხადონ ბოდიში და დაარწმუნონ, რომ შემდეგში ასეთი შეცდომა არ მოგვივაო. ტფილისის სათავად-ახნაურო დებუტატთა საკრებულომ დარბაზში არჩევნების დროს წერეთლისთვის და რამიშვილისთვის რომ უკრი დაგვედოთ, ისეთ შთაბეჭდილებას გამოიტანდით, ვითომ სოც. დემოკრატ ამომრჩევლები უცოდველი კრავები იყვენ, სხვა ამომრჩევლები კი მათ შექმას უპირებდნენ, მაგრამ კრავებმა გაიმარჯვეს და თითონ შეკამეს მკლები. ნეტავი ვიცოდეთ, რას იტყვის ეს ხალხი. რამიშვილი, როცა გაახსენდება თავისი მაშინდელი სიტყვა, რომელშია ის ირწმუნებოდა, რომ ქუთაისში ათი წლის წინად ებრავლები ფედერალისტებმა აიკლესო და აქედან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სოც. დემოკრატებს გარდა ყველანი კაცი კამიება არიან და ამიტომ, ვისაც კაციკამიობა არ უნდა, მან უეჭველად სიმონ წერეთელს უნდა მისცეს კენჭიო. ამომრჩევლებმაც დაუფერეს „პაპა“ რამიშვილს, ხახანაშვილი გააშავეს და წერეთელი აირჩიეს. ეს კარგი მაგალითი და გაცე თილია პარტიულ მონებისთვის, რომეოთაც მთელი ქვეყანა დაარწმუნეს, ვითომ მხოლოდ და მხოლოდ სოც. დემოკრატები იცავენ ხალხის ინტერესებს. სხვა დროს რომ ჰკითხოთ, ისინი მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესებს იცავენ სხვები კი ებრავლებს იკლებენ და გლებებს ეკუთვნიან უყუნებენ სახლებში.

მაგრამ ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ წერეთელი ყურადღების ღირსი არ არის. იმის მაგივრად ამომრჩევლების წინაშე პაუზი უნდა აგოს იმ პარტიამ, რომელმაც წერეთლის კანდიდატურა წამოაყენა და ამ მუხმზეუელას ხალხის წარმომადგენლის ქურჭი წამოასხა. ა — და.

სოციალური სტატისტიკა

ეს არის, ესაა გამოვიდა დაბეჭდილი ანგარიში ქართველთა შორის წეს-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედებას 1905 წლის განმავლობაში.

ჩემში საზოგადოდ მიდებულებია, რომ ის წიგნი, რომელიც მხოლოდ „მშრად“ ციფრებით და ცხრილებით არის საყეს, სანტრეუსო არ არის და ამიტომ შემთხვევებულ ანგარიშსაც, საზოგადოების გაშვებისა და რამდენამე „მოკლიდ“ მკითხველის გარდა, არავინ გადაშლის, მაგრამ, თუ ვინმემ გადაშლა შემთხვევით, ის წვერთა ისა კითხულობს და ნაწინო გვარებს ექებს. მაგრამ მე მაინც სანტრეუსოდ მამ.წინა ანგარიშში მოყვანილი სოკეთობი ციფრები და ცხრილებია, რომელნიც მკრთადად მაინც სასიათებენ ქართველ საზოგადოებრივ ცხოვრების სოკეთობი მხარეს. დავიწყეთ თუნდა მოსწავლეთა სტატისტიკიდან.

სსოკადობას ჰქონია სულ 10 სკოლა, სდაც უოფილა 1046 მონწილე მკრამ აქედან გამონსდებულა მხოლოდ 915. წინარეის, თანეის, გომარეთის, უღამშიისა და რეხის სკოლებში არც ერთი მონწილე არ გამონსდებულა, რადგან ზოგი მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო, ზოგი კი ჯერაც არ კასნდა. 863 მონწილეადნ (წლის განმავლობაში 52 გამოაკლდა) თავდა-ახსურთ უოფილა 368, ელეხი—403 და სხვ აწოდების - 91. ქალი უოფილა 95, ვაჟი—768. წლის განმავლობაში 742 მონწილე 34,640 ეკვეთილს დაჰქვებია.

მკრამ ამზე უფრო საინტერესო მასდას იძლევა სსოკადობის სამკითხველო-ბიბლიოთეკების დაწვრილებით შედგენილი სჯარაში, რომელიც ბევრ რამეს გვიხსნის და ვკანწავდეს.

სსოკადობას ჰქონია 11 სამკითხველო და ბიბლიოთეკა, სდაც უოფილა 10,226 ქართული და 8390 რუსული წიგნი. დამამკრში დამწკარ სარკოულის და უვინდის ბიბლიოთეკები, ასე რომ წლის დამლევის დარჩენილა 9935 ქართული და 8207 რუსული წიგნი. სულ უოფილა 18143 წიგნი. შინარსით წიგნები ასე განიუოფილა: სასულიერო შინარსის 750, სიტყვა-კაზმულ მწერ.—7949, ისტორ., ბიბლიოკ., კრიტიკა—973, ზოლიტიკური კვონომია—279, ბუნების მეტეოლოგია—780, საბავშვო—2160 და სხვადასხვა—4192. როგორც ხედავთ, ზირველი ადგილი სჭერია სიტყვა-კაზმულ მწერლობას და უკანასკნელი კი—ზოლიტიკურ კვონომიას.

წლის განმავლობაში სამკითხველოებში შესულა და ბიბლიოთეკებიდან წიგნები გაუტანია 63,894 კაცს (3 ბიბლ. და სამკით. ანჯარაში არ არის ჩაგებული). აქედან ტყილისის 3 სამკითხველო-ბიბლიოთეკაზე მოდის 26,595, ქუთაისისზე—23,837, დიდჯიხისაში-საზე—6,900, ხსლცხისა—4146 და სხ. ბიბლიოთეკებიდან წიგნების გამტანთა რიცხვში მამკრები შეადგენენ 3/5-ს, დედაკრება—2/5-ს. როგორც ხედავთ, ქუთაისი თითქმის არაფრით ჩამორჩენია ჩვენს დედა-ქალაქ ტყილისს.

უფრო საინტერესოა მეორე ცხელი, —რამდენი შესულა სამკითხველოში უქმე დღეს და რამდენი სქმის დღეს. ტყილისის მეორე და ქუთაისის ბიბლიოთეკებში სქმის დღეს სამჯერ უფრო მეტი შესულა, ვიდრე უქმე დღეს. დიდ ჯიხისაში სქმის დღეს ორჯერ მეტი შესულა, უდის სამკითხველოში კი, ზირქით, უქმე დღეს ორჯერ მეტი შესულა სქმის დღეს, ხოლო ტყილისის მესამე ბიბლიოთეკაში სქმის დღეს ხუთჯერ მეტი მკითხველი უოფილა, ვიდრე უქმე დღეებში. აქედან ჩანს, რომ დიდ ქალაქებში და იმ ადგილებში, სდაც უფრო ქალაქის მუშა ხალხია შექმნული, სქმის დღეს მეტი შედის სამკითხველოში, ვიდრე უქმე დღეს. ერთგვრით ქართველების გარდა სხვა ერებსაც უსარკველათ ბიბლიოთეკებით. რუსი უოფილა 1640, სომეხი—923 და სხვა—150-მდე.

წოდებით უკლასზე მეტი უოფილა ელეხი—21,129, თავდა-ახსურთ - 2493, სასულიერო წოდების—1284, მამკლაქე—2283 და სხვა—286.

უკლასზე მეტ ურადლების დინსი მესამე ცხელი, —რამდენი და რა შინარსის წიგნები გაუტანათ. სულ კასულა 10,290 წიგნი. მარტო ტყილისის მესამე და მეორე ბიბლიოთეკებიდან მოუ. თხოვათ 5269 წიგნი (ზირველ ბიბლიოთეკის ნანჯარაშივე არ არის), ამის მისდღეს დიდი ჯიხისაში—2640, მერე ხსლცხი—1909, ქუთაისი—1051 და სხ. შინარსით უკლასზე მეტს ეტანებთან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას და მოუთხოვათ 7500-მდე წიგნი, ისტორიკული—1600-მდე, ზოლიტიკური კვონომია—1100-მდე, საბავშვო—3600-მდე, ბუნების მეტეოლოგია—1000, სასულიერო—360 და სხვა და სხვა -1000-მდე.

ქელა კადვიდო სსოკადობის წიგნის მადახიის ანჯარაშივე, სდადან ჩანს, თუ რანირ წიგნებს უფრო ეტანება მკითხველი და რს უფრო აქვს კასვადი.

უკლასზე მეტი კასულა სასწავლო სახელმძღვანელოები: დელაქსი—13,366, ბუნების კარი—2288, „Русское Слово“ ინწილი—2777, იგვევ წიგნი ნწილი მეორე—1131. ოთხივე წიგნი ი. კოტეასშიედის კაილეულა 19,482 ცალი.


სახელმძღვანელოებს მისდღეს ზოლიტიკური კვონომია. ალ. წულეუდის „ნწივეტები ზოლიტიკურ კვონომიიდან“ კაიდეულა 1734 ცალი.

ბ. ლეტრისტური წიგნები ძალიან ნაქვებად კაიდეულა და რაც კაიდეულა, ისიც საბავშვო და იათესისანი. დომურის „ალი“ კაიდეულა 45 ცალი, სენკევიჩის მქენიერი მოთხრობა „ბარტქი ძლევა-მოსილი“—27, თხზულებანი ვაჟ-ფშაველასი—24, რ. ერისთავისა—20, ბარათშიედის ლექსები—97, მოთხრობანი დ. კლდიაშიედისა—35, ქართველი მწერლები—108, ქართული სიტყვიერების ისტორია—123, ვეფხვის ტყოსანი კარკ გამოცემისა—6, ლექსები ვაზ. ობუქიანისა—49 და დიდებულ შექსნირის დრამები მხოლოდ 8. შედარებით კარკად კაიდეულა საბუნებისმეტეოლო. ისტორიული და ბიოგრაფიული თხზულებანი (უფრო იათესისანი). ბურჯი ერთგებისა—49, რუსულ-ქართული ლექსიკონი—147, ჩარლზ ზანჯელი—81, ცა და დედამამა—40 და სხ. უკეთესად კაიდეულა სავსეწილო და სახალხო წიგნები, მკრამ არავითარი კასვადი არ ჰქონია მუსიკალურ და მეტნიერულ გამოკვლევებს. კიორკი ბ. წინჯაღე კაიდეა 2 ცალი, ქართული სიმფონია—3, ქართული სახალხო სიმღერები—4, ქართული რომისი ფალასშიედისა—8, Законы царя Вахтанга—2, საქართველოს ისტორია ვახუშტისა—6, ქალილა და დამანა—4 და სხ.

საინტერესოა აგრეთვე თვითონ სსოკადობის შემოსავლის წყაროები. უკლას ქართულ დაწესებულების უმთავრესი წყარო შემოსავლის არის ქველმოქმედება და წ. კ. საზ.-ის უმთავრესი შემოსავლიც „სხვა და სხვა შემოწირულება“ უოფილ. შემოწირულებიდან შემოსულა 5200 მ. და 485 საწვერო კადან. ხალიდან კი მხოლოდ 1371 მ. სსოკადობას ჰქვლია 1197 ნმდეალი წვერი, რომელთაც წელიწადში 6 მანეთი უნდა იხდონ. უკლას რომ კადახდა ეს ფული, სსოკადობას უნდა შემოსდღოდ 7182 მან. ნამდეალიც კი კადახუნდა საწვერო ფული მხოლოდ 229 კაცს, ხოლო 968 წვერს წვერის ზოკალებთან დავიწვებათ და ამის გამო სსოკადობას დამქვებია 5811 მანეთი. სსოკადობამ რომ რამე დონე იდინოს და უკლას წვერებს კადახდევინოს ხოლმე საწვერო ფული, სსოკადობის ფინანსური მხარე მკვიდრ ნადავზე დადგება და შემთხვევით შემოსავლის—შემოწირულების—იმედით აღარ დარჩება. საერთოდ კი სსოკადობის შემოსავალ კასვალს შარშან, წინა წლებთან შედარებით, რამდენიმე ათას მანეთით დაუკვდა. ა.

სახელმწიფო ფინანსები.

სახელმწიფო ფინანსების შესახებ ლაპარაკი ხშირია, —ყოველდღე გვეხმის ჩივილი, რომ სახელმწიფო გადასახალი მიმე ტვირთად აწევა ღარიბ ხალხს, რომ მთავრობის საფინანსო სისტემა რუსეთში ძირს უთხრის მცხოვრებთა კეთილდღეობას, —მეგრამ რატომ არის რუსეთში სახელმწიფო გადასახალი უფრო ძნელი ასატანი, ვიდრე ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში, როგორ შეიძლება ღარიბთათვის მისი ვალახლის შემსუბუქება და როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოლო ვალახალი.



ბის საქმე, რომ მთავრობა ხალხის ეკონომიურ ცხოვრების დამქცევი აღარ გამოდიოდეს,—ამის შესახებ გადაჭრილ პასუხს უმეტესობა ვერ მოგცემსთ, რადგანაც ჩვენში საფინანსო ცოდნა საზოგადოდ თითქმის სრულდებით არ არის გავრცელებული.

ეს ცოდნა კი აუცილებელია სწორედ ახლა, როდესაც ხალხი დემოკრატიულ წყობილებისკენ მიისწრაფება. ხალხს უნდა თვითონ იკისროს თავის საერთო საქმეების მართვა და გამგეობა და სახელმწიფო საქმეები არჩეულ წარმომადგენლებს მიანდოს, მაგრამ ეს წარმომადგენლები რომ ხალხის სურვილთა აღმასრულებლად გამოდიოდნენ და თავის ნებაზე საქმეების წარმართვას ვერ ახერხებდნენ, საქიროა, რომ ხალხი განვითარებული იყოს და შეგნებულად თვალ-ყურს ადევნებდეს თავის წარმომადგენელთა მოქმედებას. ასეთი შეგნებული თვალ-ყურის დევნა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხალხს შესაფერი ცოდნა აქვს და ეხერხება გასარჩევ საქმეების გარკვევა და მათ შესახებ გარკვეულ საკუთარ შეხედულების შემუშავება.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ქვა-კუთხედს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი შეადგენს. როგორ უნდა იზრუნონ ხალხის წარმომადგენლებმა ხალხის სწავლა-განათლებაზე, თუ ხაზინაში ერთი თავისუფალი გროშიც არ მოიპოვება, როგორ უნდა ეცადონ წოდებათა გათანასწორებას, თუ გადასახადის მხრივ სხვა და სხვა წოდება ერთმანეთში გასწორებული არ იქნა. ან როგორ უნდა ეცადონ ხალხის ეკონომიურ დაწინაურებას, თუ სოფლად უბრალო გზებიც არ მოიპოვება და გზების გასაყვანად კი საჭირო ფული არა ხაზინაში? ან რა ნაირად უნდა ეცადონ ხალხის განათვისუფლებას, თუ არსებული საფინანსო სისტემა ხალხის მშრომელ უმეტესობას პირიდან ლუკმას ართმევს და აიძულებს პირუტყვულად იცხოვროს, ჰურის ქამას უკლოს, დასნეულდეს და შიმშილითაც მოკვდეს,—ოღონდ ხაზინაში ხალხზე გაწერილი გადასახადი უკლებრივ შევიდეს და მთავრობას რევოლუციონერების ნიშნის მოსაგებად იმის გამოცხადება შეეძლოს, „რომ წრეულს შარშანდელზე მეტი გადასახადი შემოვიდაო,“ როგორც ამას დაურიდებლად აცხადებს რუსეთის ახლანდელი მთავრობა.

როგორ მოხდა, რომ მშვიერ-მწყურვალნი მუდმივ შიმშილობისგან თითქმის სიკვდილის კარზე დამდგარი ხალხი „მეტ გადასახადს“ იხდის,—როგორ მოხდა, რომ ხალხის ჯიბე დაკალიერდა, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა, მთავრობის შანაურმა პოლიტიკამ, ახლანდელმა სარევოლუციო მოძრაობამ და ვაქრობისა თუ მრწველობის დაცემამ ხალხის ეკონომიური ძალა შეასუსტეს, და ამავე დროს რუსეთის ხაზინას „შარშანდელზე მეტი“ ფული შემოსდის? გადასახადი ხომ ხალხმა უნდა გადაიხადოს, ხალხი დაღარიბდა და უფრო დაღარიბდა ხალხმა მეტი ფული როგორ გადაიხადოს?

სახელმწიფო ხალხის კეთილდღეობისათვის არსებობს, სახელმწიფოში მთავრობა ყოველთვის ხალხის სამსახურს უნდა ცდილობდეს და ამიტომ ხალხის გაღარიბებისა თუ გამდიდრების მიხედვით უნდა იცვლებოდეს მთავრობის მოქმედება სახელმწიფოში. რუსეთის მთავრობა კი რომელიც ხალხს თავის მონა-მორჩილად და მოსამსახურედ სთვლის, არაფრად აგდებს ხალხის ვალტაკებას, ოღონდ ხაზინაში ბევრი ნაღდი ფული შემოვიდეს, რომელიც სჭირია ჯარების შესანახავად და თანდათან უფრო გაძლიერებულ რევოლუციის დასამარცხ-

ბლად. ხალხის თვალში მთავრობა მისი მოსისხლე მტერი და მთავრობაც თავის მოქმედებით თითქოს ამართლებს თავის შეხედულებას.

რუსეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის მოკლე განხილვა ჩვენ დაგვანახებებს, თუ რამდენად შართალია სხენებული შეხედულება და რამდენად აშკარად გამოსკვირს მთავრობის მოქმედებაში ხალხის დამონებისა და საკუთარ გაბატონების სურვილი. ასეთი განხილვა მით უფრო არის საინტერესო, რომ ამით ერთი მხრივ შეეწყობა ხელი საერთო გამოფხიზლებას და მეორეს მხრივ ხალხი გაიგებს, თუ რას უნდა მოითხოვდეს იგი არჩეულ დეპუტატებისგან.

რაკი სახელმწიფო ხალხის საკეთილდღეოდ არსებობს და რაკი მთავრობა სახელმწიფოს ამ მიზნის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ სახელმწიფო ხარჯების უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას უნდა წარმოადგენდეს მათი მიზანი,—საერთო სარგებლობა, საერთო კეთილდღეობა, ამ ხარჯების გასაწევად მთავრობა ყოველ მცხოვრებისგან, მის შეძლებისა და შემოსავლის დავჯარად გადასახადს უნდა იღებდეს,—ეს გადასახადი მცხოვრების სხვა ხარჯებისაგან იმითი განსხვავდება. რომ მისი გადახდა სავალდებულოა. მთავრობას ხალხის ახლანდელ შეგნების საფუძველზე არ შეუძლია გადასახადი მცხოვრებთა კერძო სურვილზე დასტოვოს, რადგანაც ხალხის დიდი ნაწილი თავის წვილის არ შეერთდა. ან შეიძლება თვით საერთო კეთილდღეობა ყველას ერთნაირად შეგნებული არ ჰქონდეს. ხალხის განათლება, მაგ., ისეთი საქმეა, რომ მისი რიგინად მოწყობა ყველასთვის სასარგებლოა, მაგრამ ბავშვების აღზრდა მშობლების სურვილზე დამოკიდებული რომ იყოს, მოზარდ თაობის უმეტესი ნაწილი თანასწორად ნასწავლი არ იქმნებოდა;—და ამას გარდა მდიდარ და ღარიბ მშობლების შვილი თანასწორ სწავლას არ მიიღებდა. ბავშვების სწავლება სავალდებულო უნდა იყოს და უფასო, რომ ყველას მდიდარსა და ღარიბს, ერთნაირი სწავლა ეძლეოდეს, რადგანაც სახელმწიფოში ყველა ერთი და ძალიან ხშირად ღარიბი ბავშვი მეტ ნიქსა და გამჭირიანობას იჩენს სწავლაში ვიდრე მდიდარ ოჯახში დაბადებული ყმაწვილი.

ხალხის საქიროებას ირკვევს საერო წარმომადგენელთა კრება და ამ საქიროებათა გამორკვევის მიხედვით სდგება სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვა. ხალხის საქიროებათა გარდა წარმომადგენლები ხალხის ეკონომიურ მდგომარეობასაც ირკვევენ, რომ ამის მიხედვით მეტი ან ნაკლები გადასახადი გასწერონ, მეტი ან ნაკლები ხარჯი გააწევიონ ხალხს და ამ ნაირად საერთო კეთილდღეობის მიღწევა გაუადვილონ.

დღემდის მთავრობა ასე არ იქცეოდა. მისთვის სულ ერთი იყო ხალხის კეთილდღეობა, მთავრობის სათავეში მყოფი პირები მხოლოდ თავიანთ თავზე და თავისიანების კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და სამისოდ საჭირო ფულს ახდევინებდნენ ხალხს არა შექლების მიხედვით, არამედ იმის დავჯარ, თუ ვინ უფრო სუსტი იყო და ვის უფრო შეეძლო მორჩილად გადაეხადა ყველაფერი, რასაც ძლიერი მთავრობა მას მოსთხოვდა თვით მისივე დასამონებლად.

1906 წლისთვის შემდგარი ხარჯთ-აღრიცხვა, ხარჯის მხრივ, შემდეგ ნაწილებიდან შესდგება:

სახელმწიფო ვალებისთვის	334,7 მილიონი მანეთი
სახელმწიფოს უმაღლესი დაწესებულებანი	5,5 „
სინოდი	29,2 „

ხელმწიფის სასახლე	16,3	„
ვარეუე საქმეთა სამინისტრო	6	„
სამხედრო	379,9	„
საზღვაო	104,2	„
ფინანსთა	342,6	„
ვაჭრობა-მრეწველების „	37,6	„
მიწის მფლობელობის და მიწათმოქმედების მთავარი გამგეობა	36,0	„
შინაგან საქმეთა სამინისტრო	131,2	„
სახალხო განათლების „	44,1	„
გზათა	477,7	„
იუსტიციის	52,1	„
სახელმწიფო კანტროლი	9,2	„
ტენების მოწინება	1,8	„
სხვა და სხვა მოულოდნელი ხარჯი	10	„
იანონისთან ომზე დახარჯულ ხარჯების ვასასტუმრებლად	405,4	„
რკინის გზების გაყვანა	42,4	„
დამშუელთა დასახმარებლად	30	„
ნაფთის მწარმოებელთა	15	„

სულ 2,510,2 მილ. მან.

რამდენად დიდია ეს ჩამოთვლილი ხარჯები, ამის დასამტკიცებლად იმის თქმა საკმარისია, რომ თითო მცხოვრებზე მოდის სახელმწიფო ხარჯი წელიწადში 18 მან, ან თითო ოჯახზე საშუალო რიცხვით თითქმის 90 მან. მართალია, ხარჯების ერთ ნაწილს მთავრობის სხვა და სხვა შემოსავალი, მაგალითად, რკინის გზების შემოსავალი ასწორებს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც ხალხს აწვება გადასახდელად და ამიტომ ხალხი უნდა ჩაუვირდეს ამ ხარჯებს და მათი ნამდვილი მნიშვნელობა გაიგოს.

ძველ ვალების გადახდა იმდენად არის საეალღებულო ხალხისთვის, რამდენად იგი ამ ვალების აღების წინააღმდეგ თავის დროზე პროტესტს არ აცხადებდა და ამით მთავრობის მოქმედებასაც აკანონდებდა. ახლა ამ ვალის გადახდა მას სასჯელივით კისერზე აწვება.

უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში მთავრობას ეხარჯებოდა 284 მილიონი მანეთი, ახლა კი ამ ხარჯმა ორ მილიარდს გადააშტა,—და ამ ხარჯის მიუხედავად შიდა რუსეთს მაინც შიმშილობა ვერ ასცდა — იმიტომ, რომ ეს ფული იხარჯებოდა და იხარჯება არა ხალხის საკეთილ-დღეოდ, არამედ მსხვილ-მსხვილ მოხელეების ჯამაგირებზე და მთავრობის მომხრეთა დასაჯილდოებლად.

სამხედრო და ზღვის სამინისტროები ხალხს წლიურად თითქმის 500 მილიონ მანეთად უჯდება, ამას ვალის ის ნაწილიც რომ მიეწებათ, რომელიც ომიანობით არის გამოწვეული, გამოვა, რომ ხალხი ყოველწლიურად ჯარისთვის და ფლოტისთვის იხდის არა ნაკლებ 650 მილიონისა. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ხარჯი თვით მთავრობისთვის უსარგებლო გამოდგა, რადგანაც რუსეთის ფლოტი ზღვამ შთან თქა და რუსეთის მხედრობა იაპონელებმა საშინლად დაამარცხეს მანჯურიაში, — ხალხისთვის მხედრობის გაძლიერება თვითმპყრობელ მთავრობის გაძლიერებას უდრის. ეს ჯარი მთავრობას სჭირია „შინაურ მტრების“ საწინააღმდეგოდ, ხალხის დასამონებლად, რადგანაც მთავრობა მტრულის თვლით უყურებს ხალხს და მისთვის სრულებით არ ზრუნავს; როდესაც ხალხი გაბატონდება სახელმწიფოში და სახელმწიფო საქმე-

ების მართვასა და გამგეობას იკისრებს, შემცირდება ჯარების რაოდენობა, მისთან ერთად შეუმცირდება ხალხს-სამინსო ხარჯი და მრავალი ახალგაზრდა, ახლა ჯარებში გამსცდარი, ნაყოფიერ შრომის დაუბრუნდება.

რკინის გზებზე ხლანდელ მთავრობას ყოველ წლიურად ზარალი მოსდის, ეს ზარალი 150 მილიონ მანეთს აღემატება. აქაც ზარალი იმის ნაყოფია, რომ მთავრობა რკინის გზების ხეირიან აშენებას და გამგეობას ვერ ახერხებს, რადგანაც რკინის გზის აშენების დროს უფრო მეტარხნეების გაძლიერებაზე ფიქრობს, ვიდრე ხალხის საქიროებაზე და ამის გამო მრავალი ისეთი გზა აშენდა, რომელიც ხალხისთვის და ხაზინისთვისაც სრულებით უსარგებლოა.

ან რა საქიროა ის 16 მილიონი მანეთი, რომელიც ხელმწიფის სასახლეზე ეხარჯება ხალხს ყოველ წლიურად? რა მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის პოლიტიკურ პოლიციის გაძლიერებას, უმაღლეს ადმინისტრატორების მსხვილ-მსხვილ ჯამაგირს ან ისეთ ხარჯებს, როგორიც არის, მაგ., ღურთოვასგან „კარგ სამსახურისთვის“ საჩუქრად მიღებული 200,000 მანეთი?

აღამიანმა გულდასმით რომ გადაათვალიეროს სახელმწიფო ხარჯები, ადვილად დარწმუნდება, რომ მისი თითქმის ერთი ორად შემოკლება შესაძლოა და რომ ის ფული, რომელიც ახლა ხალხის დასახრმეებლად იხარჯება შეიძლება ხალხის განათლებას მოხმარდეს. ის ხარჯი, რომელიც ცენტრალისტურ სახელმწიფოში აუარებელ ჩინოვნიკობას უნდება, მომავალ სახელმწიფო წყობილებაში და ფედერაციულად მოწყობილ რუსეთში თავისთავად მოისპობა, რადგანაც ბევრ საქმეს მაშინ ავტონომიური ერთეულები იკისრებენ და შეასრულებენ. ხალხს ამითი ერთის სხრივ შეუშუბუქდება გადასახადი და მეორეს მხრივ გაუადვილებდა ჩინოვნიკებას თვალყურის დევნა, რომ არც ერთი გროში უსარგებლოდ არ იხარჯებოდეს. ასეთი თვალყურის დევნა ცენტრალისტურად მოწყობილ უზარმაზარ რუსეთში მცოდნე და გამოცდილ პირებსაც გაუძნელდება.

— და —

მომალაშობრისი თამის უფლება და მკონომიური განითარება

ინგლისელები ამტკიცებენ, რომ ერთი ინგლისელი მუშა 10 საათის განმავლობაში იმდენს აკეთებს, რამდენსაც ორი რუსი მუშა 16 საათის განმავლობაშიო. ასეთი აზრი საწყენია რუსებისთვის, მაგრამ ის კი მართალია, რომ რუს მუშის საწარმოვო ძალა სამჯერ ნაკლებია ინგლისელ მუშის ძალაზე. მიზეზი? მიზეზი ბევრია მაგრამ მათ შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს მოქალაქობრივ თავისუფლებას, რომელიც მკიდროდ არის დაკავშირებული ერის საწარმოვო ძალასთან.

ავიღოთ ორი სხელმწიფო: ერთში გაქმებულია სრული მონობა, საზოგადოების ერთი ნაწილი ყმად ჰყავს მეორეს და მისი ქონება და სიცოცხლეც დამოკიდებულია გამეფებულ კლასისგან, მეორე სახელმწიფოში კი სრული მოქალაქობრივი თავისუფლებაა. ამ ორ სახელმწიფოს შორის დიდი განსხვავებაა: ყველაფერი, რასაც კი მონა ან ყმა აკეთებს, მონურ წესწყობილებაზე დამყარებულ სახელმწიფოში სასესებით ეკუთვნის იმის ბატონს. ამიტომ მონა სრულიად არ ცდილობს მეტი იმუშაოს, საქმე უკეთესად გააკეთოს და შრომის ნაყოფს უმატოს. ის მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რაც შეიძლება ნაკლები იმუშაოს და ნაკლებად დახარჯოს

თავის ძალ-ღონე. მხოლოდ მათრახითა და შოლტით შეიძლება მონა ააჩქაროთ და მეტი გააკეთებინოთ. მაგრამ შოლტს შეუძლიან მნიშვნელობა იქონიოს მხოლოდ მაშინ, როცა მონა სულ უბრალო სამუშაოს ასრულებს. ამ აზრს მშვენივრად ამტკიცებს ისტორია იმ ქვეყნებისა, სადაც ერთ დროს მონობა და ბატონულობა იყო. ბატონულობის დროს რუსეთის მემამულეს 3—4 კაპიკი უჯდებოდა იმდენივე თივის მოთიბვა, რამდენი ინგლისელს მხოლოდ 1 კაპიკი უჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს რუსეთში შრომაც და ცხოვრებაც ინგლისზე გაცილებით უფრო იაფი იყო, ავსტრიაში თავისუფალ მუშის შრომა ყმის შრომაზე სამჯერ ნაყოფიერი და სამჯერ იაფი იყო პრუსიაში ბერსნდორფის მამულის შემოსავალმა ბატონულობის გაუქმების 24 წლ. შემდეგ ცხრაჯერ იმატა. ყმობის დროს შეუქლებელი იყო რთულ მანქანებისა და კულტურულ მეურნეობას გაჩენა. ყმების შენახვა თანდათან ძვირდებოდა, მათი შრომის ნაყოფიერობა კი არ მატულობდა; ამ რიგად, მრეწველისთვის თავისუფალ მუშის დაქირავება უფრო ხელსაყრელი გახდა. ვიდრე უფასო ყმების ყოლა. ამიტომ ბატონებსა სხვა ხერხს მიმართეს: ყმას სხვა სამუშაოზედ უშვებდნენ და სამაგიეროდ იმის ნაშრომის ნაწილს იღებდნენ. ყმების გაქრავება სახირო გახდა უფრო იმ მემამულეებისთვის, რომელნიც სოჯლად არ ცხოვრობდნენ და თავიანთ ყმებს თავზე არ ადგენ. აქედან ცხადია, რომ თვითონ ბატონებისთვის ხელსაყრელი გახდა ყმების ნახევრად განთავისუფლება. ახლად გაჩენილ საფაბრიკო მრეწველობისთვის კი საჭირო იყო მხოლოდ თავისუფალი ადამიანი, რომელიც ყმაზე უფრო მეტსაც აკეთებდა და მისი შენახვაც ნაკლები ჯდებოდა.

მაგრამ მარტო თავისუფლება საკმარისი არ არის სამრეწველო ძალის ასაწევად უბრალო ველურიც თავისუფალი არის და ფიზიკურ ძალით გაცოლებით სჭარბობს ინგლისელ მუშას, მაგრამ მათი შრომის შედარებაც არ შეიძლება. მიზეზი, რასაკვირველია, ცხადია: ველური ვერ გამოიყენებს რაულ თანამედროვე მანქანას, რადგან სამისო ცოდნა არა აქვს. როგორც ზედავთ, საკმარისი არ ყოფილა მარტო ფიზიკური ძალა, საჭიროა ცოდნა, ხოლო ცოდნის შესაძენად საჭიროა თავისუფლება.

ყოველ ნაირ საქმეს სჭირია ცოდნა და მოსახრება. განვითარებული მუშა უფრო მალე შეიძენს ახალ ცოდნას. ვიდრე მისი განუვითარებელი ამხანაგი, მას ნაკლები ზედახედველობა სჭირია, ის ტყუილუბრალოდ არაფერს არ დაჰკარავს: არც დროს და არც მასალას, ის უფრო მოხერხებულად და ადვილად მოიხარის რთულ მანქანებს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელ რთულ ტექნიკის ხანაში. რაც უფრო რთულია მანქანა, მით უფრო განვითარებული და მკოდნე მუშა უნდა მას. ეხლა იმდენად საჭირო არ არის სიმარდე და სისწრაფე, რამდენადაც საჭიროა მოხერხება და გონიერება. ცოდნის მნიშვნელობას შრომაში ნათლად ამტკიცებს სამუშაო ხელფასის სტატისტიკა. ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში ყველაზე ნაკლები ხელფასი ეძლევათ წერა-კითხვის უცოდინარ უცხოელებს, ამერიკელი ქალები ძალიან ხშირად ასეთ უცხოელებზედ მეტს იღებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ცოტადენი განათლება მაინც მიუღიათ და წერა-კითხვა იციან. გერმანელი მოიჯარადრე ყველაზე დიდ ფასს აძლევს ინგლისელ მუშებს, რადგან იცის, რომ ისინი ერთ და იმავე დროს უფრო მეტს გააკეთებენ, ვიდრე სხვა ტომის მუშები.

თუ სწავლა-განათლებას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ნა საწარმოო ძალის განვითარებაში, მას ასევე მნიშვნელობა უნდა აქონდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს სიმდიდრის შექმნაში, რადგან, რაც უფრო ნაყოფიერია ხალხის შრომა, მით უფრო მდიდარია ამ ხალხის ქვეყანა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, საწარმოო ძალის რაოდენობა დამოკიდებულია განათლებაზე. მაშასადამე, განათლება, შრომის ნაყოფიერება და ქვეყნის სიმდიდრე ერთმანეთთან მჭიდრად ყოფილა დაკავშირებული. სამივენი ერთმანეთისგან არიან დამოკიდებული და ერთმანეთზე მოქმედობენ. ამ აზრის დამტკიცება ადვილად შეიძლება დასავლეთ ევროპისა და უფრო კი ინგლისისა და ჩრდილოეთ ამერიკის საერო სიმდიდრის შექმნის ისტორიით.

ოცი წლის განმავლობაში (1865—1885 წ.) ინგლისის ეროვნული სიმდიდრე თითო წლობით 2 მილიარდი მანეთით მატულობდა. ინგლისის სიმდიდრე მატულობდა იმდენად, რამდენადაც მატულობდა სასაღობო განათლება, რომელმაც იმ ხანებში უმაღლეს წერტილაზედ მიადწია. იმ დრომდე ინგლისი შედარებით ზოგიერთ ქვეყნებთან, ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო, 20 წლის განმავლობაში კი იგი წამოვიწია ამ სახელმწიფოებს და იმდენადაც გაუსწრო, რომ ეხლა ისინი ინგლისს შურით შეჰკურებენ. მაგრამ ამ მხრით ჩრდილოეთ ამერიკის შტატებმა ინგლისსაც აჯიჯეს. საჭირო არ არის ციფრების მოყვანა ამის დასამტკიცებლად. მოკლე ხანში სასაღობო მეურნეობა და მრეწველობა ისეთი სისწრაფით განვითარდა ამ ქვეყანაში, რომ მთელ ისტორიაში ასეთი საოცარი მაგალითი არ მოიძებნება. ევროპის მრეწველობას და რუსეთის მეურნეობას ამერიკის მხრით დიდი საფრთხე მოელოს. ამერიკის მრეწველობამ დიდი ხანია გაუსწრო ინგლისის მრეწველობას და იმავე დროს იმოდენა ხორბალი გააქვს საზღვარ გარედ, რამდენიც რუსეთს, რომელსაც რამდენიმე წლის წინად პურის ბაზარზე ტოლი და მოქიშვე არაივნ ჰყავდა. ამერიკა ჰყვია ზემოთქობორბალს, რუსეთიდან კი გააქვთ საკუთარი ლექვა: რუსის გლეხი იძულებულია თვითონ დაიკლოს, მოიშვიოს და თავის წლიურ ნაშრომის საკმაო ნაწილი ინგლისელებსა და ევროპელებს გაუზღავოს. ამ მხრით მეტად საინტერესო და საოცარია რუსეთის მეურნეობის ბედი. რუსეთის ლიტერატურაში არ მოიძებნება საჭირო სტატისტიკური მასალა რუსეთის მეურნეობის მდგომარეობის გასაგებად, მაგრამ იმის ასაწერად არც იმდენად საჭიროა ზედმიწევნით შედგენილი სტატისტიკა. ყველამ იცის, როგორც ცხოვრობს რუსის გლეხი. ათასგვარი ავადმყოფობა, შიმშილი და სიღატაკე მისი მუდმივი სტუმარია. ის ეხლაც იმავე იარაღით ამუშავებს მიწას, რა იარაღითაც მუშაობდნენ იმის წინაპრები 400—500 წლის წინად, ნატურალური მეურნეობა სულს ჰდაფას და მუშაკს მოსავალს აღარ აძლევს; მრეწველობაც ფებს ვერ იკიდებს, მიუხედავად იმისა, რომ ხაზინა პროტექციონიზმის სისტემითა და აუარებელ სუბსიდიებით მფარველობას უწევს მას. მიზეზის გასაგებად შოკს წასვლა არ არის საჭირო, კერძო ინიციატივის გარდა, რომელიც ინგლისში საოცრად არის განვითარებული, წელიწადში სახალხო განათლებაზე სახელმწიფო იქ 80 მილიონს ხარჯავს. ინგლისელები ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევენ ტექნიკურ ცოდნის გავრცელებას. მთელი ინგლისი ქსელივით დაფენილია სამრეწველო და ტექნიკურ სასწავლებლებით და კურსებით. ლონდონის სახალხო ბიბლიოთეკები გაცილებით სჭარბობენ მთელი ქვეყნის ყველა ქალაქების ბიბლიოთეკებს,

ლონდონის სახალხო ბიბლიოთეკებში 230,000-ზე მეტი ტომია, ამ ბიბლიოთეკებზე წელიწადში იხარჯება 330,000 მანეთი. წელიწადში ამ ბიბლიოთეკებიდან ხალხს 2,500,000 წიგნი გააქვს წასაკითხად. ინგლისის სხვა მოზრდილი ქალაქებიც ამ მხრით ლონდონს არ ჩამოუვარდებიან.


მაგრამ ამერიკამ ინგლისს ამაშიაც გაუსწრო. 1000 მცხოვრებზე ამერიკაში 208 მოსწავლე მოდის. ასეთი დიდი პროცენტი მოსწავლეებისა არც ერთ სხვა სახელმწიფოში არ მოიძებნება. ამერიკის მთავრობა სახალხო განათლებაზე წელიწადში 265 მილიონს ხარჯავს (თითო სულზე მოდის 4 მ. და 35 კაპ.), ორ ამოდენას ხარჯავენ ამავე საქმეზე იტალია მდიდარი კაპიტალისტები და კერძო დაწესებულებანი. ამას მიუმატეთ ათასი სხვადასხვანაირი სამეცნიერო და საზოგადო დაწესებულებანი, სადაც მუდმივ სხვადასხვა საგანზე კითხულობენ ლექციებს და დარწმუნებით, რომ სახალხო განათლების საქმე რუსეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში ორ მოპირდაპირე პოლიუსზე სდგას.

დასავლეთ ევროპის პრესის ბირჟა საესეა ისეთ ჟურნალ-გაზეთებით, რომელიც მხოლოდ შრომის აწერას უნდებოდა. აუარებელ სერიოზულ ლიტერატურის გარდა დასავლეთ ევროპაში გამოდის მრავალი ჟურნალ-გაზეთი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. ავსტრიის შრომის ბიუროს ჟურნალი (12 წიგნი) წელიწადში ღირს 90 კაპ. ინგლისში მუშათა გაზეთი წელიწადში 46 კაპ. ღირს. ასევე ითვალ ფასობს სახალხო პრესსა ავსტრალიასა, კანადისა და ახალ ზელანდიაში. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ვითომ ზემოხსენებული გაზეთები მარტო მუშის მდგომარეობის აწერას უნდებოდენ. პირიქით, ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ხალხში პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებას. ესლა ვადმოვიდეთ მეორე პოლიუსზე, — რუსეთში. აქ 1000 მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 25 მოსწავლე (ამერიკაში — 208), თითო სულზე იხარჯება 19 კაპიკი (ამერიკაში 4 მან. და 35 კაპ.), წერა-კითხვა იცის ას კაციდან მხოლოდ 16, ამერიკაში კი — 92 (ინგლისში 90 მა, გერმანიაში 98-მა). მოსკოვი რუსეთის განათლების ბუდედ ითვლება, მაგრამ იქ ნახევარზე მეტმა წერაკითხვაც არ იცის. რუსეთში ახალგაზდა ჯარის კაცებიდან წერაკითხვის მცოდნე ასზე მხოლოდ 32 მოდის, ხოლო შვეიცარიასა და ნორვეგიაში არც ერთი წერაკითხვის უცოდინარი არ მოიპოვება. ამაზე მჭერმეტყველურად ლე ნათლად სახელმწიფოს მდგომარეობის აწერა შეუძლებელია. სახალხო განათლება რუსეთში პირველ საფეხურზე სდგას და სწორეთ ამით აიხსნება რუსეთის სიღატაკეც. რუსეთის მთავრობას ხეპრე და გაუნათლებელ ბრბოზე ბრძანებლობა ურჩევნია მდიდარ და განათლებულ ხალხის მართვა-გამგეობას. მას ისე ეშინიან სინათლისა და განათლებისა, როგორც ცეცხლისა და სიკვდილისა. რუსეთში არ იყო მოქალაქობრივი თავისუფლება, ამიტომ არ არის არც განათლება და არც ეროვნული სიმდიდრე, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე სახალხო განათლებაზე, რუსეთის მთავრობა პირს იბრუნებდა და ამბობდა, ფული არა მაქვსო, მაგრამ ამავე დროს ას მილიონობით ხარჯავდა დამპალ ჯავშნოსნებზე, იალუს კონცესიებზე, ექპარნებების სუბსიდიებზე და პენსიებზე. ბევრი ლაპარაკი არ არის საქირა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის მთავრობა განზრახ ხელს უშლიდა ხალხში განათლების და ცოდნის შეტანას. კანონით უნებართვოდ აპკრძალულია რამდენიმე ბავშვის შეგროვება და ან-ბანის სწავლება, ნებართვის აღება კი ძალიან ძნელია.

ჩვენ შეგვეძლო დაწვრილებით აგვეწერა ისტორიის სახალხო განათლებისა, ისტორია რუსეთის მთავრობის ბრძოლისა წინააღმდეგ ყოველ ნაირ დაწესებულებებისა, რომელთაც ოდნავად მიანც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ სახალხო განათლებასთან, მაგრამ ეს მეტად მიგვაჩნია, რადგან ყველა ჩვენგანმა მშვენივრად იცის ამ ბრძოლის ამბავი და შედეგი ასეთ პოლიტიკისა. რუსეთის მთავრობა ერთ და იმავე დროს ხელს უშლიდა განათლების შეტანას შუა რუსეთში და იმავე დროს შედარებით ხელს უწყობდა განათლებას კავკასიაში, პოლონეთში და საზოგადოდ არა რუსებში მხოლოდ იმ მიზნით, რომ „ნოროდცები“ გაერუსებინა. მაგრამ, მისდა მოულოდნელად, ასეთმა პოლიტიკამ სულ სხვანაირი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისე მოქალაქობრივ თავისუფლებისა, განათლებისა და ეკონომიურ განვითარების ურთიერთ დამოკიდებულებას. საანბანო ქეშმარიტებაა, რომ მანქანა აადვილებს საქონლის გაკეთებას, ამოკლებს მის გასაკეთებლად საქირა დროს და ადიდებს მუშის საწარმოყო ძალას. ერთ რომელიმე საგნის გაკეთებას ველური ორ-სამ დღეს უნდება, ესლანდელ მანქანებით შეიარაღებული მუშა კი ამავე საგანს ერთ საათში ან რამდენიმე წუთში გააკეთებს. ტენიკის მნიშვნელობა მშვენივრად გაიგეს დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში და უდიდესი ყურადღება მიაქციეს მის განვითარებასა და გაუმჯობესებას. იქ უდიდეს ჯილდოს ნიშნავენ პრემიად ამა თუ იმ მანქანის გამოგონებისთვის და, თუ ახალი მანქანა სჯობია ძველს, მაშინვე სცვლიან მას. იქ მანქანა იშვიათად მოძველდება: მის ადგილს მოკლე ხანში ახალი მანქანა იჭერს, ამ მანქანასაც მეორე უკეთესი მანქანა აცვლენინებს ადგილს და სხვ. ამ მხრითაც რუსეთი მოპირდაპირე პოლიუსზეა მოქცეული. რუსეთის მუდმივად მშვიერ გლეხს და უცოდინარ ხალხს თავის გამოსაკვებიც კი არა აქვს და საიდან შეიძენს ტენიკურ იარაღს, საიდან შეიძენს ტენიკურ და საზოგადო ცოდნას, როცა მას კრიკაში უდგია მძლავრი და განათლების მტერი მთავრობა. მაგრამ წელანაც ვთქვით და ესლაც ვიმეორებთ, რომ განათლება, თავისუფლება და ეკონომიური კეთილდღეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ზემოხსენებული მდგომარეობაც ჩვენი ხალხისა ასე უნდა აიხსნას: ხალხი ღარიბია იმიტომ, რომ ცოდნა არა აქვს, ხოლო ცოდნა არა აქვს იმიტომ, რომ ღარიბია. შეიძლება სოფელში სკოლაც იყოს, მაგრამ გლეხებმა შეიძლება არ გაგზავნონ სასწავლებლად. ღარიბი გლეხი გვერდინდან არ მოიშორებს თავის შვილს, რომელიც ერთად ერთი მაშველია მასთვის

რუსეთის ესლანდელი ფინანსიური პოლიტიკა თითქო განგებ იმისთვის არის მოგონილი, რომ სამუდამოდ შეუძლებელი გახადოს საზოგადოდ ხალხისა და კერძოდ გლეხების ეკონომიური მოღონიერება. ათასნაირი პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები წელსა სწყვეტს ისედაც წელიწადში გლეხობას და რკინის ბორკილებივით უკრავს ხელს. სახელმწიფოს ხარჯი საოცრად მატულობს. მთავრობა არაფერს არ ერიდება გადასახადების ასაკრფედ და უფრო და უფრო აღარბებს ისედაც გადატაკებულ გლეხობას. ამოდენა ფული ისე იხარჯება, რომ ხარჯების გადამხდელ ხალხს მიცემულ ფულის მესამედიც არ უბრუნდება. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ მთავრობა აუარებელ ფულს ხარჯავს მრეწველობის განვითარებაზე, — მცხოვრებთა 850/0 გლეხობა



ვალატაკა აუარებელ გადასახადებით, მთავრობა კი ამ გადასახადებს ერთ მუქა მექარხნებს ურიგებს. ცხადია, რომ ხალხის დამღუპველ ფინანსიურ პოლიტიკის შეცვლა შეუძლიან ისევ თვითონ ხალხს, ე. ი. თავისუფალ მოქალაქეთა მიერ თავისუფლად არჩეულ კანონმდებლებს.

ისიც ცხადია, რომ მუშის მდგომარეობას დიდი გავლენა აქვს მის საწარმოვო ძალაზე. ბევრნი ირწმუნებიან, ვითომ სამუშაო ქირის მომატება საქონელსაც აძვირებს და საწარმოვო ძალასაც ამცირებსო, მაგრამ გამოცდილებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ეს შექცადარი აზრია. ფრანგი მუშა ნაკლებს იღებს ინგლისელ მუშაზე, მაგრამ ყველა მრეწველი ინგლისელს აძლევს უპირატესობას. თვითონ მრეწველები და კაპიტალისტები ამტკიცებენ, რომ საწარმოვო ძალის გადიდება დამოკიდებულია ხელფასზე, თუ მუშა მეტს იღებს ზნაკლებ ხანს მუშაობს, მისი საწარმოვო ძალაც მატულობს, ზ. პირიქით, თუ მუშა ბევრს მუშაობს და ნაკლებს იღებს, მისი საწარმოვო ძალაც კლებულობს. ეს აზრი დამტკიცებულია აგრეთვე პრუსიისა და ამერიკის ოფიციალურ სტატისტიკათა. 1874 წელს ჩრდილოეთ ამერიკის ერთ შტატში — მასსაჩუსეტსში — 8 საათის სამუშაო დღე დაკანონდა. მრეწველებმა ამის გამო ერთი აყალიბებული ასტენს ზნრწმუნებოდენ, ჩვენს შტატში ახალი კანონი მრეწველობას შეაჩერებს და ძირს გამოუთხრის, რადგან სხვა შტატებში სამუშაო დღე განსაზღვრული არ არის და იქ მუშები რვა საათზე მეტს მუშაობენო. განსაკუთრებით ამ საგნისთვის დანიშნულმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ზემოხსენებული აზრი ყალბი იყო: იმ შტატში, სადაც 8 საათის მუშაობა შემოიღეს, მრეწველობა უფრო განვითარდა, ვიდრე სხვა შტატში, სადაც 9 და 10 საათის მუშაობა იყო. მაგრამ ყველაზე კარგ მაგალითს იძლევა ავსტრალია, სადაც თითქმის 50 წლის წინად იყო შემოღებული 8 საათის სამუშაო დღე, შედეგი 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისა საოცარია. ერთი მკოდნე ინგლისელი მექარხნე ირწმუნება, რომ მეღბურნის (დედა ქალაქი ავსტრ.) მუშის სამრეწველო ძალა ორჯერ სკარბობს განთქმულ ინგლისელ მუშის ძალას. მართალია, 8 საათის მუშაობის შემდეგ ოდნავ შემცირდა სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, მაგრამ, სამაგიეროდ, შესაძინველ იმატა საქონლის წარმოებამ, მუშათა რიცხვმა და მანქანების საერთო რიცხვმაც.

ამერიკაში ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისთვის 1825 წელს დაიწყო და მას აქეთ ეს იდეა ვერგან განხორციელდა, 1868 წელს შემოღებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღე სახანო დაწესებულებებსა და საზოგადო სამუშაოებზე, მაგრამ ეს კანონი ვერ განხორციელდა სხვა და სხვა მოსაზრების გამო. 1892 წელს ხელმოკრედ იქნა დაკანონებული იმავე დაწესებულებებში 8 საათის მუშაობა და განხორციელდა კიდევ. მთავრობას კერძო პირებმაც მიჰბაძეს და ამ ჟამად მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში თანდათან ძალაში შედის ეს კანონი.

გელა ავიღოთ მუშათა მდგომარეობის მეორე — სანიტარული — მხარე. გლახოვში სადგომების გაუმჯობესების გამო მუშების უბნებში გარდაცვალებულთა პროცენტმა 32-დან 25-მდე დაიწია. ლონდონში თითო სახლში საშუალოდ 8 კაცი ცხოვრობს და ათას კაცზე 24 კაცი კვდება. ბერლინში თითო სახლში 32 კაცი ცხოვრობს და ათასზე 25 კვდება. პარიზში თითო სახლზე მოდის 35, ხოლო კვდება ათასზე 28 კაცი. პეტერბურგში თითო სახლში 52 კაცი ცხოვრობს,

ათასზე კი 41 კაცი კვდება. ამ მხრით პეტერბურგს უკეთესად ადგილი უჭირავს მთელ ქვეყანაზე. დასავლეთ ევროპაში პროცენტი გარდაცვალებულებისა თანდათან მცირდება, რუსეთში კი 100 წლის განმავლობაში ამ პროცენტმა 2-დან 3,2-მდის აიწია.

ჩვენ შეგვეძლო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის შესადარებლად კიდევ ბევრი გვეთქვა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ იმ დრომდის, სანამ რუსეთში არ დამყარდება სრული პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლება, ვერაფერი ეშველება ვერც სახალხო განათლების საქმეს, ვერც ეკონომიურ განვითარებას და ვერც რუსეთის ეროვნულ სიმდიდრეს.

საჯარო წიგნთსაცავ-სამატიხველოეზი

ხალხს უნდა დემოკრატია, — მას უნდა, რომ თვითონ იყოს თავის საქმეების მმართველი. იგი ცდილობს ყველგან ჩამოიშოროს არა-მკითხველ მმართველ-აბეკუნები და, რაკ ასეთი აბეკუნობა თვითმპყრობელობის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს, ამიტომ ხალხიც განსაკუთრებულის თავგამოდებით ებრძვის ყველგან თვითმპყრობელობას, რომ მის ადგილას სახელმწიფოში დემოკრატიული წეს-წყობილება შემოიღოს და ამით შესაძლოდ გახადოს თავისი ნამდვილი ბატონობა და თავისუფლება...

დემოკრატიულ წეს-წყობილების შემოღებით ხალხის ვაბატონება მხოლოდ შესაძლოდ ხდება, — იგი არ მოჰყვება აუცილებლად დემოკრატიულ რეფორმას, რომელიც ხშირად წინ უსწრებს ცხოვრებას და ხალხს ხელში ისეთ იარაღს აძლევს, რომლის გამოყენება მას ჯერ კიდევ არ შეუძლია.

მართლაც, ყოველმა ჩვენგანმა იცის ისეთი მაგალითები, სადაც დემოკრატიულ რეფორმას ხალხის თითქმის ზედმეტი დაბრკელება გამოუწვევია, — ეს რეფორმა ხალხს სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს და ხალხზე დამოკიდებული, გამოიყენებს იგი ამ უფლებას თუ არა, და თუ გამოიყენა, — თავის საკუთარ ქკუაზე გივილის, თუ სხვის რჩევას შეუგნებლად დაენდობა. ყოველ შეგნებულ საქმიანობას შესაფერი ცოდნა სჭირია და ასეთივე ცოდნა სახელმწიფო და საზოგადო საქმეების მართვასა და გამგეობისთვისაც აუცილებელი სჭირია. მხოლოდ უკიდურეს და დაურიღებელ დემოკრატს შეუძლია გამოაცხადოს; ვითომც ხალხს მოუშაღებლათაც შეეძლოს რთულ სახელმწიფო საქმეების შეგნებულად წარმართვა, — ყოველი ცინიდილიერი ადამიანი აღიარებს, რომ მოუშაღებელი ხალხი ამ საქმეებში ყოველთვის სხვების ხელმძღვანელობას ბრმად დაემორჩილება და დაარღვევს დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც ასეთ ბრმა მორჩილებას უარსჰყავს.

ამიტომ დემოკრატიის დასამყარებლად და სახელმწიფოში ხალხის გასაბატონებლად, აუცილებლად სჭირია არის შესაფერი მომზადება, დემოკრატიულ ჩვეულებების შექმნა, ხალხში ცოდნის გავრცელება, ხალხის გონებრივი განვითარება. სადაც ხალხის უმეტესობა ყოველივე რეალურ ცოდნას მოკლებულია და მის გონებრივ საზრდოს შეადგენს მხოლოდ მღვდლისა ან პოლიტიკურ პროპაგანდისტის ქადაგება, სასულიერო ან პოლიტიკურ პარტიის სააგიტაციო წიგნაკები და გაზეთები, იქ ცალმხრივად ჩამოყალიბებული ხალხის გონება ვერ გამოიჩინებს იმ კრიტიკულ ძალას, რომელიც თვით მომხ-

რთა და თანამოაზრეთა მოქმედების აწონ-დაწონვას მოითხოვს და ურომლისოდაც ხალხის ნამდვილი განთავისუფლება საფიქრებელიც არ არის. ამ კრიტიკულ ძალას ჰქინის განათლება, გონების ვარჯიში სხვა და სხვა, ერთმანეთის მოწინააღმდეგე შეხედულებათა დაპირდაპირება და სხვა ქვეყნებში მცხოვრებთა ხნე-ჩვეულების ან პოლიტიკურისა და ეკონომიურ მდგომარეობის გაცნობა.

ყველა ამ ცოდნას პირველ დაწყებითა სასწავლებლები ხალხს ვერ მიაწოდებენ, რადგანაც ამ დაბალ სასწავლებლებში ბავშვები სწავლობენ და ყველა ზემოხსენებულ ცოდნას კი მხოლოდ მოზრდილ ადამიანის გონება გაიგებს და შეითვისებს. ამიტომ ამ ცოდნის გასავრცელებლად დაბალ სასწავლებლებს გარდა საქირთა სხვა სასწავლებლები ან რამე ისეთი დაწესებულება, რომელიც ხალხს შესაფერ ცოდნას მიაწვდის. ასეთი დაწესებულებაა საჯარო წიგნთსაცავ-სამკითხველოები.

საჯარო წიგნთსაცავები ძველ დროსაც ყოფილა, ქრისტეს დაბადებამდის ათასი წლის წინეთ ეგვიპტეში წიგნთსაცავები იყო, ძველ საბერძნეთსა და რომში არსებობდა წიგნთსაცავები, საშუალო საუკუნოებში მათი რიცხვი კიდევ გამრავლდა, მაგრამ არც ძველ დროში არც საშუალო საუკუნოებში წიგნთსაცავებს არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორც ამჟამად, რადგანაც წინეთ ისინი მხოლოდ მეცნიერებისთვის და ხალხის უმცირესობისთვის არსებობდნენ, ხალხის უმეტესობა კი, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული და ყოველივე ცოდნას მოკლებული, ვერ გრძნობდა წიგნებისა და სხვის დანაწერის წაკითხვის საქიროებას. წიგნთსაცავებს მნიშვნელობა მხოლოდ მე XIX საუკუნეში მიეცა, როდესაც ძლიერმა დემოკრატიულმა ტალღამ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება გამოიწვია და როდესაც სასწავლებლების გამრავლებასთან ერთად წიგნებისა და მკითხველებს რიცხვმა შესამჩნევად იმატა. ხალხსგან პოლიტიკურ უფლებების მოპოვებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა ყოველგვარ ცოდნის გავრცელებას და ამასვე მოითხოვდა ევროპის თანამედროვე კულტურაც, რომელიც ყოველ ადამიანის ცხოვრებას ათასნაირ ძაფით აბამს კაცობრიობის საერთო ისტორიისზე და ამიტომ ყველას აიძულებს თვალ-ყური ადევნოს სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას ან ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას.

ამიტომ ახლა წიგნსა და გაზეთს მეტი მნიშვნელობა მიეცა. წიგნი და გაზეთი, —საქირო ცნობების გასავრცელებლად ორი ძლიერი იარაღია. მაგრამ ამ ორ იარაღს ერთნაირი გამოყენება არ ეხერხება და ორივე ერთსა და იმავე ახლობელ მიზანს არ ემსახურება. გაზეთი უფრო პოლიტიკურ ცხოვრების სარკეა და მკითხველს ატყობინებს იმ სხვა და სხვა პოლიტიკურ მოვლენას, რომელიც ქვეყნიერების ყველა კუთხეში ხდება, ამიტომ მის ცნობებს უფრო დიდი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს და გაზეთი, დღეს წაკითხული, ხვალ ჩვენში აღარავითარ ინტერესს აღარ გამოიწვევს, რადგანაც ამ ერთმა დღემ ახალი ამბები მოგვითხროს და ამ ამბებით გუშინდელი დღის პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. გაზეთის ფურცელს ერთი დღის მნიშვნელობა და სიკაცხლეც უმეტეს შემთხვევაში, ერთი დღისა აქვს, რადგანაც მისი წამკითხველი წაკითხვის შემდეგ მას აგდება და აღარ ინახავს.

სულ სხვაა წიგნი, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა და მკითხველს რეალურ ცოდნას აწვდის. სხვა და

სხვა საწიგნიერო დარგის წიგნებზე რომ არც ვეჭვობდებოდეთ, თვით სიტყვა-კახმულ სამწერლო ნაწარმებზე დაწერილ თანამედროვე საქირობოროტო კითხვის წიგნში საფუძვლიანად გარკვევას, —ხანგრძლივი მნიშვნელობა აქვს და წიგნი ხშირად რამდენიმე წლისა და ხშირად საუკუნეს განმავლობაში მკითხველებს თანასწორად იზიდავს. ამიტომ წიგნებს ინახავენ, ამიტომ ერთსა და იმავე წიგნს ხშირად რამოდენიმე ათასი ან ასი ათასი კაცი კითხულობს ხოლმე.

მაგრამ ახლა აუარებელი წიგნი გამოდის და, მეორეს მხრივ, კითხვის სურვილი დარბ წრებშიაც მოიკიდა ფეხი, —და ამიტომ მკითხველს არ შეუძლია ყველა მისთვის საინტერესო ან საქირო წიგნი წასაკითხად იყიდოს, —საამისოდ მას საკმარისი ფული არ მოეპოვება და, აი, სწორედ ამ მხრივ განსაკუთრებული და განუზომელი მნიშვნელობა აქვს საჯარო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, სადაც მსურველს სულ უსასყიდლოდ ან მეტად მცირე ფასში შეუძლია იშოვნოს და წაკითხოს ყველა წიგნი, რომელიც მას აინტერესებს. იმის მაგივრად, რომ ყველას თავისთვის ეყიდა ათიოდე წიგნი და შემდეგ უფულობისა გამო ხელი აეღო კითხვაზე, —საჯარო წიგნთსაცავში აქ მხრივ შეზღუდული არაფერ არ არის და წიგნების კითხვას და ამნაირად ხალხში ცოდნის გავრცელებას, როგორც საერთო და ყველასთვის სასარგებლო საქმეს, თვით საზოგადოება თაოსნობს და საერთო ფულით საჯარო წიგნთსაცავ-სამკითხველოს ხსნის.

საზღვარ-გარეთ, ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოში და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველ, უფრო მაზარლ სოფელში და ქალაქებში არსებობს საჯარო წიგნთსაცავი და სამკითხველო და ზოგიერთი მთვანე ამ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეს განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ რამდენიმე ასი ათასს ან მილიონ წიგნს შეიცავს. შესამჩნევია განსაკუთრებით ამერიკის წიგნთსაცავები, რადგანაც იქ ზოგიერთი მდიდარი ქველმოქმედები აუარებელ ფულს სწირავენ სამკითხველოების მოწყობას და ზოგან თავის საკუთარ ფულითაც ხსნიან საჯარო წიგნთსაცავს შემდეგი სტატისტიკური ცნობები მკითხველს კუთარდნად გააგებინებენ წიგნთსაცავების საქმის ზრდას და მის ახლანდელ მდგომარეობას ჩრდილო ამერიკაში.

იყო წიგნთსაცავი	შიდ იყო წიგნი
1793 წ.	75.000
1859	4.280.866
1875	12.276.694
1892	31.167.354

აქ ჩათვლილია მხოლოდ უფრო მაზრდილი საჯარო წიგნთსაცავები, — საშუალო რიცხვით იქ თითო ასეთი წიგნთსაცავი მოდის 16000 მცხოვრებზე, —ჩრდილო შტატებში კი ათი ათას მცხოვრებზე თითო წიგნთსაცავი მოდის. საინტერესოა ქალაქ ბოსტონის წიგნთსაცავის საქმე, —ამ ქალაქში 500.000 მცხოვრებია, —იქაურ საჯარო წიგნთსაცავ სამკითხველოზე კი იხარჯება ყოველ წლიურად 2 მილიონი მანეთი, ე. ი. ყოველ მცხოვრებზე საამისო ხარჯი წლიურად თითქმის 4 მანეთი მოდის. ამ წიგნთსაცავს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ათი განყოფილება აქვს და მისი წიგნების რიცხვი 700.000 აღემატება. სამკითხველოში აქ 1868 წელს 4 გაზეთი და 287 ჟურნალი ყოფილა, ახლა კი 300 გაზეთი და 600 ჟურნალი არის. წელიწადში ამ წიგნთსაცავს ემატება თითქმის 40.000 ახალი წიგნი. ბოსტონის წიგნთსაცავში 250 მოსამსახურე პირია, —გამოუცდელო ადამიანს ეს რიცხვი

გაუყვირდნენ და აფიქრებინეს, რომ წიგნთსაცავის გამგეობა ტყუილ-უბრალოდ ფულის გაფლანგვის ჩვეული ყაფილად, მაგრამ საქმის დაკვირვება დაგვანახებეს, რომ ამ მხრივ ზედ მეტი ხარჯი ზედ-მეტ სარგებლობის მომტანი ყოფილა.

მართლაც, წიგნების გროვას თავის თავად არავითარ სარგებლობის მოტანა არ შეუძლია, თუ მსურველმა ამ გროვის გამოყენება არ იცის. ხაში ადამიანი უზარმაზარ, რამოდენიმე ასი ათას წიგნიდან შემდგარ წიგნთ-საცავში საკირო თხზულებას ვერ ნახავს, — ხშირად მან არც იცის, რომ იმ საკითხზე, რომელიც მას აინტერესებს, საზოგადოდ რამე თხზულება არსებობს. ბოსტანის წიგნთ საცავის მოსამსახურე პირები ხაზს წიგნთ-საცავით სარგებლობას უადვილებენ და ასწავლიან. მათ ხელში წიგნები უსარგებლოდ არ რჩება თაროებზე და ყოველ შემომოსვლელს რჩევა ეძლევა, რა წიგნი აიღოს, სად ეძიოს საკირო ცნობები, რა გზას დაადგეს თვითგანვითარების საქმეში ამერიკაში წიგნთსაცავის გამგეობს ევალეობათ მკითხველებს წიგნთსაცავით სარგებლობაში ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ, — და სწორედ ამიტომ იქ ხალხი ასე ეტანება საჯარო წიგნთსაცავს.

ამერიკაში, მასაჩუსეტის შტატში 349 დაბა-სოფელია და ამათში 342-ს აქვს თავისი საჯარო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. იქ განსაკუთრებული ადგილობრივი გადასახადია შემოდებული, რომელსაც „წიგნთ-საცავების გადასახადი“ ეწოდება და რომლის შემოსავალი ადგილობრივ წიგნთსაცავების მოწყობაზე იხარჯება იმ სოფლებში კი სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები ვერ ახერხებენ თვითონ წიგნთსაცავის მოწყობას შტატის მთავრობა ეხმარება და პატარა წიგნთსაცავისთვის საკირო წიგნებს უგზავნის. 1890 წელს დარჩენილი იყო მხოლოდ 7 ასეთი უწიგნთსაცავო სოფელი.

გადასახადსა და სახაზინო ფულს გარდა წიგნთსაცავების მოწყობას კერძო შემოწირულებით შეგროვები ფულიც ხმარდება. 1876 წლამდის, მთავრობის ანგარიშით, კერძო პირთა შემოწირული წიგნთსაცავების ქონება თითქმის 60 მილიონ მანეთს აღემატებოდა. შემოწირულებით განსაკუთრებით სახელი გაითქვა ადრე კარნეგის, რომელიც თვითონ რამოდენიმე მილიონ მანეთის პატრონია და რომელმაც გადასწყვიტა ეს მიღონები, როგორც ხალხში ნაშრომი, ხალხსავე დაუბრუნოს და ეს დაბრუნება თავის „მოვალეობად“ გამოაცხადა. რამდენიმე წლის განმავლობაში მან მხოლოდ წიგნთ-საცავების მოწყობას 12 მილიონი მანეთი შესწირა!

საჯარო წიგნთ-საცავებთან ერთად ამერიკაში მოგზაური წიგნთ-საცავები არსებობს, — მათ აქა-იქ აგზავნიან, რომ ამა-ნაირად ხალხს წიგნის წაკითხვა გაუადვილონ.

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ საჯარო წიგნთ-საცავს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განვითარებისთვის, მაგრამ ამავე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ წიგნთსაცავის, როგორც საზოგადოდ ხალხის სწავლისა და განათლების საქმე, ყოველივე პარტიულ პრაპაგანდისგან თავისუფალი უნდა იყოს. ბერლინში, მაგ., სოც-დემოკრატებმა ხელში ჩაიგდეს მუშათა სასწავლებლები და ამ სასწავლებლებში თავიანთ პარტიულ პროგრამის გავრცელება დაიწყეს, მაგრამ მუშებმა, თვით სოც-დემოკრატმა მუშებმაც მაშინ ზურგი შეუქციეს ამ სასწავლებელს და იქ სიარულს თავი ვაანებეს, რადგანაც მათ ცოდნის შეთვისება და არა პარტიულ პროგრამის გავება სურდათ. ასე წიგნთ-საცავებშიაც ცალმხრივობა და პარტიული ფანტიკოსობა, სულ ერთია ვინ დაადგება მას, — ადმინისტრაცია თუ უკიდურესი მემარცხენე პარტია, — ძირს უთხრის თვით

წიგნთ-საცავის არსებობას და საზოგადოებაზედაც ვაძინ წიგნთ-საცავს. სამკითხველოსი და ყოველისავე განმარტობი-ბელ დაწესებულების მიზანი, — ხალხი გონებრივად გამო-ფხიზლოს და მას საკირო ცოდნა მისცეს იმისთვის, რომ მკითხველმა შემდეგ თავისუფლად და დამოუკიდებლად შესძლოს გავარნილისა და ნახულის გაგება. ცალმხრივობა კი ამბრმავებს ადამიანს და შეგნებულ მებრძოლის მაგიერად ბრმა ფანტიკოსს ჰქმნის, რომელსაც შეუძლია დღეს თავი შესწიროს საქმეს, მაგრამ რომელიც ხვალ ისევე ადვილად აიკრუვებს გულს თავის დღევანდელს იდეალზე, როგორც ადვილად შეითვისა იგი.

როდესაც წიგნთსაცავი საკმაოდ მდიდარია წიგნები და წიგნთსაცავის გამგე ხელმძღვანელობას უწევს მკითხველებს, — მაშინ ხშირად მკითხველი თან და თან ახერხებს თვითგანვი-თარების გზაზე დადგომას და სამეცნიერო წიგნების წაკითხვასა და გაგებას ეჩვევა. მაგრამ საჯარო წიგნთსაცავებში ხალხი მხოლოდ მეცნიერებას არ ეძებს, — საზღვარ გარეუ მაინც მკითხველები სიტყვა კაზმულ მწერლობას ეტანებიან, — მო-თხრობებსა და ლექსებს დიდს აღტაცებით კითხულობენ, ისე რომ ყოველ 100 წაკითხულ წიგნზე იქ თითქმის ერთი მკითხველი ნაწილი სიტყვა კაზმულ მწერლობაზე მოდის. კითხულობენ აგრეთვე საისტორიო წიგნებსაც, სხვა ქვეყნების გეოგრაფიულ აღწერას, მოკზაურობას.

წიგნთსაცავით სარგებლობა უფასო უნდა იყოს, — ცოდნის შეძენა ისეთივე აუცილებელი საკიროა, როგორც შარა გზაზე სიარული და ორივე თანასწორად უსასყიდლოდ უნდა შეეძლოს ყველას, სიტყვა კაზმულ ნაწარმოების წაკითხვა ისეთ-სავე სიამოვნებას ჰკვრის მკითხველს, როგორც მოსიერანს საზოგადო ბაღში სეირნობა, და ორივე თანასწორად მუქით უნდა იყოს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს სიამოვნება სასარგებლოც არის და ხალხის საერთო კულტურულ განვითარებისთვის აუცილებელიც, — აუცილებელი იმისთვის, რომ ხალხმა შესაფერი ცოდნა შეითვისოს და სახელმწიფო საქმეებში შეგნებულნი მონაწილეობა მიიღოს.

სადაც პოლიტიკური ცხოვრება უფრო განვითარებულია და ყოველ დღე ახალ-ახალი ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ხდება, რომ მის მიხედვით საზოგადო ცხოვრებაც მუდამ ახალ გზას ადგება და რყევია, იქ ყოველ-დღიურ პრესასს მეტი გასავალი აქვს ხალხში და ეს გარე-მოება ადვილი ასახსნელია. მაგრამ თვით პოლიტიკურ რე-ვოლუციის კორიანტელშიაც ხალხმა გაზეთის წაკითხვა არ უნდა იკმაროს და არ უნდა დაივიწყოს წიგნი რეალურ ცოდნის მისაღებად, რადგანაც ამ ცოდნას მოკლებული ხალხი, რევოლუციაში რომ გაიმარჯვოს კიდევ, — „მეთაურებს“ დამონება, — იძულებული იქნება მათ „დაუჯეროს“, რადგანაც კრიტიკისათვის შესაფერი ცოდნა აკლდება.

ამიტომ, როდესაც წიგნი წინანდელ საცენზურო კლასი-კებს ვადურჩა, და შესაძლებელი ხდება ხალხში „ნამდვილ“ და არა ყალბ ცოდნის გავრცელება, — ყველანი მოვალენი არიან სწოდდ ამ მხრივ ხელი შეუწყონ ხალხის განვითარებას, როგორც წიგნთსაცავებს მოწყობით, ისე ამ წიგნთსაცავებისთვის და საზოგადოდ ხალხისთვის ახალ წიგნების შე-დგენით და გამოცემით, ეს საქმე პარტიულ ელფერს მო-კლებული უნდა იყოს, რადგანაც ცალმხრივად ხალხის განვი-თარება მის დაბრმავებას უდრის და ხალხის გაზრას დაბრმა-ვება ხომ გაბატონების მოსურნეთა საქმეა. სწორედ აქ არის საკირო ნეიტრალური მოღვაწეობა, — ეს შეიგნეს საზღვარ გარეთ ყველა განათლებულ ქვეყნებში, ამას შეიგნებენ ჩვენ-

შიაც, სადაც დღეს კიდევ მოწინააღმდეგე პარტიის გამოცემათა წაკითხვისას უშლიან ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიების მეთაურები თავიანთ მომხრეებს და ამითი ხელს უწყობენ მათზე ცალმხრივობის შექმნას და ფანატიკოსობის გაძლიერებას.

გაზეთი ვერასოდეს ვერ გასწევს წიგნის მაგიერობას და რამოდენიმე გაზეთის გამოცემა არ სპობს წიგნთსაცავების დაარსების საჭიროებას. გაზეთებით მკითხველი ახალ ცოდნას ვერ შეიძენს ისე, როგორც წიგნის კითხვით. გაზეთი მხოლოდ დღევანდელ ვარაზზე მსჯელობს, ყოველი შეგნებული ადამიანი კი უნდა შეეჩვიოს ყოველ საზოგადო მოვლენის აუჩქარებლად აწონდაწონვას, —აუჩქარებლად უნდა წარმოიღვივოს თავის მოკმედლების შედეგი და დაფასოს იგი. ერთის სიტყვით, უნდა შეეძლოს თავისი თავი მოვლენათა გარეშე წარმოიღვივოს და ისე გაარკვიოს ისინი, —გაზეთი ასეთს მსჯელობას ხალხს ვერ შეაჩვევს, —საამისოდ საჭიროა წიგნი, საჭიროა დინჯად დაწერილ წიგნების კითხვით გონების გავარჯიშება, — და საამისო წიგნების ხალხში გასავრცელებლად საჭიროა საჯარო უფასო წიგნთსაცავები, ისე როგორც ეს საქმე მოუწყვიათ ევროპისა და ამერიკის ყველა განათლებულ სახელმწიფოში.

ბ. ს.—შეაღი

ა დ ბ ი ლ ი

(მოთხრობა კ. ტიმოვსკისა)

მდიდარ ფაბრიკანტის იზიუმოვის კაბინეტში იჯდა ახალგაზდა ტენნიკოსი რუბანოვსკი. უკვე ათი საათი იყო დილისა, მაგრამ იზიუმოვი ჯერ კიდევ არ გამოსულიყო თავის საწოლ ოთახიდან. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა; ათასში ერთხელ თუ გაიგებდა ადამიანი ვინმესი ფეხაკრეფით მოსიარულის ჩურჩულს. რუბანოვსკი, შექმუხნული, ოთხად მოკაკულიყო სავარძელში. თვალთწარამტაცი მორთულობა კაბინეტისა, უშველებელი საწერი მაგიდა კაკლის ხისა, მშვენიერი ბუხარი, ოქროს ჩაჩროში ჩასმული სურათები, ძვირფასი ხალიჩები აშტერებდა ახალგაზდა ტენნიკოსს და იგი ერთი ორად გრძნობდა თავის არარაობას და უფრო დაბლა ხრიდა თავს. ის ძალზე ჩაფიქრებული იყო.

წინდაწინვე გრძნობდა თავის დამცირებას მას აღარაფერი ესმოდა, აღარაფერი ეყურებოდა, ისიც-კი დაეიწყებოდა, როგორ დადიან, როგორ ლაპარაკობენ ნამდვილი ადამიანები. რუბანოვსკის სძავდა თავისი თავი, თავისი გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, თავისი გვარიც და ცოდნაც. მაგრამ ამასთანავე საშინლად დაღალული და დაწყევტილი ახალგაზდა ამას-ლა ფიქრობდა: „ჰე, სულ ერთია ერთით მეტი თუ ნაკლები დამცირება ოღონდ პატარა ხანს დავისვენო.“

— მიხაილ, არტელშიკი აქეთ გამოგზავნე, — მოისმა ამ დროს იზიუმოვის ხმა.

რუბანოვსკი შეკრთა. ყოველი მისი აზრი, რომლითაც გულს იმაგრებდა, ერთს წუთსვე გაჰქრა, მიიფანტა. იზიუმოვი ეჩვენებოდა მას რალაც ძალად, რომელსაც ან სულ უნდა აღედგინა, ან მთლად გაესრისა იგი. ამ ფიქრში იყო რუბანოვსკი, როდესაც გაიღო კარები და ოთახში შემოფრინდა თვითონ იზიუმოვი. სწორედ შემოფრინდა, იმიტომ რომ, თავის სისქის მიუხედავად, მეტად მსუბუქი და მარჯვე იყო.

— გამარჯობა თქვენი! — მიეგება იზიუმოვი ტენნიკოსს მოურიდებლის, მეტად თავისუფალ კილოთი. გასწია მერე მაგიდისკენ, ჩაჯდა თავის სავარძელში და დაუწყა ქალაღებს ჩხრეკა. რუბანოვსკიც მიუჯდა მაგიდას. მისი ტანჯული

სახე მკაცრად გამოიყურებოდა და ნათლად ირჩეოდა იზიუმოვისაგან. ფაბრიკანტი დღეს არა-ჩვეულებრივ მზიარულ გუნებაზე იყო და შემოდგომის ღრუბლიან დარსნულ ვარ-ჰქრანდა არავითარი გავლენა მასზე. იგი აუჩქარებლად არჩევდა ქალაღებს. ბოლოს მიუბრუნდა რუბანოვსკის:

— რას მეტყვით კარგს?

რუბანოვსკი ვერაფერს ახერხებდა, მხოლოდ ხელების სრესით და ნაძალადევის ღიმილით დააცქერდა იზიუმოვს. ფაბრიკანტმა ღიმილითვე შეხედა და თითქმის სიამოვნებითაც გაუმღაოდა: —თქვენი საქმე ძალიან ცუდად არისო. რუბანოვსკი შეინძრა, მას ეგონა, ვინმე ახრჩობსო. იზიუმოვი თავისთვის გულგრილად იყო და ილიმებოდა. რუბანოვსკიმ რომ დაინახა ეგეთი შეუცვლელი მზიარული სახე, კვლავ იმედი მიეცა.

— თქვენ გამოგინდათ ბედნიერი მეტოქე, — განაგრძო ფაბრიკანტმა, — მართალია, თქვენ წარმოადგინეთ ერთი სარეკომენდაციო წერილი, მაგრამ თქვენმა მეტოქემ მის მაგიერად მოიტანა ორი, და ისიც რავგარი წერილობები! — ყველა ამას გულდადინჯებით უხსნიდა იზიუმოვი რუბანოვსკის.

რუბანოვსკის გული დასწყდა. ის გრძნობდა, როგორ ხუმარის კილოთი ისტუმრებდა მას ფაბრიკანტი.

— სტეფან მიხაილიჩ! ეგ როგორ შეიძლება! — დაიწყო რუბანოვსკიმ, თქვენ ჯერ იმედი მომეცით, თითქმის დამპირდით, და უცბად...

— აი სწორედ მაგრეა საქმე! უკაცრავად, თქვენი გვარი?

— რუბანოვსკი.

— როგორ, რუბანოვსკი თუ რიბანოვსკი? მაგრამ აქა მაქვს ჩაწერილი. რუბანოვსკი დიად... მაშ საქმე, მე ვამბობ, იმაში ყოფილა... ამ დროს იზიუმოვმა გადახედა რუბანოვსკის იქით მღვამ კაცს:

— წაეთრიე, რისთვის სდგებარ მანდ? იქით დამიკადე! არტელშიკი მიიმაღა: იზიუმოვს თითქოს კიდევ დაავიწყდა, რაზე ელაპარაკებოდა რუბანოვსკის, ისე გულმოდგინედ დაუწყა, თავის ბრჩილობს შინჯვა.

— ჰო, რას ვამბობდი? — დაიწო ფაბრიკანტმა. დიხ! საქმე ასე მოეწყა: თქვენი მეტოქისთვის მოხოვა ჰაფნუტიემა (აქ კიდევ ჩაიციხა იზიუმოვმა), — ჰეტრე ივანიჩმა, ვისგანაც მე ცოტა დავალებული ვარ, — ჩემი თხოვნითაც მას ბევრისთვის მიუცია ალაგი. გარდა ამისა ერთმა ისეთმა ქალმაც მომმართა, რომელსაც კი ცნობა აქვს ჩვენი ფაბრიკისთვის საჭირო კაცისა. ამის შემდეგ... თქვენც-ხომ იცით, რაკი ქალი გაერევა... ამ სიტყვებთან იზიუმოვმა ცალი თვალი დაახამხამა.


— სტეფან მიხაილიჩ! — გაფითრებული ეუბნებოდა რუბანოვსკი, — შედით ჩემს მღვამარეობაში, ოჯახის პატრონი ვარ. მერე, რამდენადაც ვიცი, კნაუბერტი არ გაცნობებთ ჩემს თავს ცუდ კაცად. მე ორი წელიწადი ვმსახურობდი მის ქარხანაში და მხოლოდ ცოლის ავადმყოფობაში...

— დიხ, დიხ, მერწმუნეთ, რომ გარემოება არ შეცვლილიყო... როგორც ჩანს, თქვენი ბედი არ ყოფილა ჩვენთან სამსახური.

— ბოდიშს ვითხოვ, სტეფან მიხაილიჩ, მაგრამ მე მგონია, ჩემი ბედი სავსებით თქვენს ხელშია, ყოველიფერი თქვენს სურვილზეა დამოკიდებული.

— ეგ მართალია, რომ გარემოება...

რუბანოვსკი წამოხტა და აღელვებული დაიწყო ოთახში სიარული.



— სტეფან მიხაილიჩ! — დაიწყო რუბანოვსკიმ აკანკალებულის ხმით. — თქვენ გააქრეთ ჩემი უკანასკნელი იმედი, გამაჩერეთ ერთ გაუვალ გზაზე... აი სწორედ ორი წელიწადია, რაც უადგილოდ ვარ. რაც ერთი-ორი გროში შავი დღისთვის მქონდა ვადარჩენილი, სულ წამლებზე დაიხარჯა, ესლა აღარაფერი მაქვს და ცოლიც უარესს დღეშია... ორი პატარა ბაღი...

იზიუმოვი თითზე ბეჭედს ათამაშებდა და ყურს უგდებდა. — ოჰ, ძნელია, — თავის ქნევით შენიშნა ფაბრიკანტმა, — რად დანებებთ კნაუბერტს თავი.

— მა რა მექნა, როცა საჭირო იყო მოსკოვში წასვლა ექიმებთან.

— ეჰ, თქვენც უჯერებთ ექიმებს! რა ხნისა თქვენი ცოლი?

— ოცდა მესამეშია.

— ოჰ, რა ახალგაზდა ყოფილა! ნუ გწამთ ექიმები, წამლობაც სისულელეა, სუფთა ჰაერი და მოსვენება, აი რა სჭირია თქვენს ცოლს. მე გამოცდილებით ვიცი, იპიტომ გეუბნებით.

— მერე, სტეფან მიხაილიჩ, სუფთა ჰაერი სად ვიშოვოთ, როცა იძულებული ვართ ერთ სულის შემხუთველ ოთახში ვიცხოვროთ?! ვერ წარმოიდგენთ...

ამ დროს იზიუმოვა დახედა ჯერ ჯიბის, მერე კედლის საათს, ცოტათი ამოიფშინა და ისევ ქაღალდების ჩხრეკა დაიწყო. როგორც ეტყობოდა, ფაბრიკანტი იზიუმოვი უფროთხილდებოდა თავის თავს, რომ ამგვარ ლაპარაკით გუნება არ გაჭეუქებოდა.

რუბანოვსკი იდგა მაგიდასთან. ატყობდა, რომ წასვლის დრო იყო, მაგრამ ვერ ბედავდა. მთლად უღონო, ძალა გამოღლებული იგი იდგა იზიუმოვის წინ. მას მობეზრდა ხვეწნა მუდარა, ენატრებოდა არაფერზე არ ეფიქრა, გამეშუბუ იყო ერთ ალაგას და აღარ დასჭიდებოდა ცხოვრების ჩარხს; მაგრამ უტებ მოაგონდა მშინერი ოჯახი და წყალ წაღებულსავეით ერთხელ კიდევ სცადა ხავს მოჰკიდებოდა.

— სტეფან მიხაილიჩ! — დაიწყო რუბანოვსკიმ და ხმა ჩასწყდა. მე თქვენ ვარწმუნებთ, მე შემძლიან თქვენთვის გამოსადეგი კაცი ვიყო. მე პრაქტიკულადაც შემისწავლია საქმე, ბევრი სქმეც გამოუმჯობესებია.

— ეგ ხომ თავდაპირველია, დაეთანხმა იზიუმოვი — პრაქტიკული ცოდნა ჩვენთვის სჭირია.

— ამის გარდა, ვანაგრძო რუბანოვსკიმ, შეიძლება ჩემს მეტოქეს აკლია გამოცდილება, პრაქტიკა.

— ყველაფერი შესაძლოა, — უბასუხა ფაბრიკანტმა ჩვენს დახვესებულ ტენიკოსებს იშვიათად თუ აქვთ პრაქტიკული ცოდნა. მაგრამ რას იხამ? გარემოება გაიძულებს. თუ ის ვაუბატონი არ გამოგვადგა, მაშინ თქვენ გვეყოლებით მხედველობაში.

— სტეფან მიხაილიჩ! მანამდის ხომ ცოლშვილი შიმშილით ამომიწყდება!

იზიუმოვმა ველარ მოითმინა, ქაღალდებს არეულად შლა დაუწყო და სახე გაიქვავა. — რუბანოვსკი ადგა.

— მშვიდობით! წაილულულა მან.

— გვეყოლებით, გვეყოლებით მხედველობაში, ნუ დეცემით სულით; ნახვამდის! — უბასუხა ფაბრიკანტმა.

რუბანოვსკიმ, როცა მიდიოდა, გასავალ კარებთან შენიშნა, რომ ერთი მობუზული, თეთრებში ჩაცმული კაცი წამოდგა და შემკრთალი უყურებდა მას. „ეს ხომ არ არის ჩემი მეტოქე?“ დაკითხა რუბანოვსკი თავის თავს და გასწია ქუჩისკენ.

რუბანოვსკი მიდიოდა სახლში ძალზე გაბოროტებული და გულმოსული ყველაზე: პანფუტიევზე, იზიუმოვსკის მეტოქეზე და გულმოსული ყველაზე მეტად თავის მეტოქეზე, რომელმაც გადურბინა წინ და წაჰგლიჯა ხელიდან ერთი ლუკმა პური. მერე რამდენი თავის დამცირება გამოსცადა მხოლოდ იმისთვის, რომ უარი გაეგონა! „აღარ წავალ სახლში — აუტანელია მუდამ ერთი და იგივე. ჩემი ბედი აუტანელია, ირგვლივ სიბინძურე, სიცხე, სივალახე! ოჰ რომ შემეძლოს თავის მოკლა!“ ამ ფიქრით გატაცებული შეჩერდა რუბანოვსკი, მაგრამ ამ დროს წარმოუდგა თვალწინ ჩამომდნარი სახე ცოლისა, დამწუხრილი ბავშვები, სისაწყლე და სასოწარკვეთილებით განაგრძო გზა. ციოდა, წვიმდა და საშინლად უბერავდა შემოდგომის ქარი.

— არა, სახლში წასვლას აქ წვიმის ქვეშ გაწუწუვა მირჩენია! იმეორებდა რუბანოვსკი. კიდევ ცოლის გულსაკლავი შემოხედვა! მერე როგორ დაეაიძულონ!

— რა არის, ცოტა ალაგა გასავლელი, რომ ადამიანს ზედ არ შეეჯახოთ? — მოესმა მკაცრი შემოძახება გამკლელისა, მაგრამ კილო მალე შეიცვალა და გაშტერებული შეჩერდა ახალგაზდა ტენიკოსი.

— რუბანოვსკი! საიდან? მერე ეგეთი გამომეტყველებით!

— სერგეევ! — განცვიფრებით წამოიძახა რუბანოვსკიმ და თან ხელი ჩამოართვა თავის მეგობარ ტენიკოსს. — ერთბაშად ვერ გიცანი.

სერგეევს ეცვა გაცვეთილი სახაფხულო პალტო და თავზე ძველი ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული. ქუდ ქვეშ უბრწყინავდნ მოლოურჯო თვლები, მკაცრი, მაგრამ მიმზიდველ გამომეტყველებისა. დამოუკიდებელ ჰკვის შუქი ნათელსა ჰფენდა მის სახეს.

— მას შემდეგ, რაც სასწავლებელი გავთავეთ, ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს, — შენიშნა სერგეევმა. იგი თანაგრძობით დააქვრდა მეგობარს. — დაბერებულხარ, ძმაო, დაბერებულხარ! სხვა, როგორ არის შენი საქმე?

— ცუდად! — მიუგო რუბანოვსკიმ. აი ესლაც ერთი ალაგა გაცრუვდა ჩემთვის, ვილაცამ ურცხვად წამგლიჯა ხელიდან.

— შენც მარდად მოიქეც, მეგობარო. აქ, ჩემო ძმაო, სიფხიზლეა საჭირო, ბრძოლაა არსებობისთვის. მეც კინაღამ არ გამომაცალეს საქმე. განთავისუფლდა თუ არა ალაგა, ვილაცას უკვე სუნით გავიგო, მისულიყო თხოვნით. მაგრამ მის სარეკომენდაციო წერილში მხოლოდ „თხოვნა“ იყო, ჩემთვის კი „დაბეჯითები“ სთხოვდნ ფაბრიკანტს და გავიზარჯე. დარჩა ჩემი მეტოქე პირში ჩალა-გამოვლებული. მე ესლა ძალღურად ვიქცევი, ძალი გავხდი პირდაპირ ვეცემი ხოლმე და ვიტაცებ. წავიდეთ, აქ რაღას ვვგვევართ? შენ გამაცილე, მე მხოლოდ შევივლი ერთ ღიბიანთან, ადგილის შესახებ უნდა ვკითხო, — აქ ახლო არის. შენ ხომ არსაით მიგეშურება?

— არა, გამოგყვები, ჩემთვის სულ ერთია

— მაშ კარგი, წავიდეთ.

მეგობრები წავიდნ. რუბანოვსკი უამბობდა თავის ვარემოებს ს, სერგეევი გულმოდგინებით ყურს უგდებდა.

— აი, კიდევ მოველით. — გააჩერა სერგეევმა ამხანავი იზიუმოვის ბინასთან...

— მაშ შენ ყოფილხარ!?! წამოიძახა რუბანოვსკიმ. ხარის დასარეკად გაწვდილი ხელი სერგეევს უკანვე დაეშვა. მან ერთი შეხედვით შეატყო რუბანოვსკის, რაშიც იყო საქმე.

— რაღას ელი, დარეკე! მწარე ღიმილით უთხრა რუბანოვსკიმ.

— ეჰ, ეშმაქსაც წაუღია მაგათი თავი! მოვასწრობ. წავიდეთ!

— საით? — გაუგებრად დაეკითხა რუბანოვსკი.

— სულ ერთია, — მიუგო მეგობარმა, — გსურს წავიდეთ ჩემსას, თუმც ვაგლახად კი ვცხოვრობ.

— სხვაგან შენთან წასვლას წამოსვლა მირჩევნია.

ამ ორ სიტყვაში სერგეევმა ბევრი რამ ამოიკითხა. ისინი გაბრუნდნენ უკან იმავე გზით, მაგრამ იმავე გულით კი აღარა. მეგობრების გარდა ისენი ერთმანეთის მეტოქენიც გახდნენ. რაღაცა გაჩერდა ამით შორის, რომელიც შხამავდა მეგობრულ კავშირს. დიდხანს მიდიოდნენ ხმა-ამოუღებელივ, ბოლოს სერგეევმა დაარღვია სიჩუმე.

— რა უცნაური მოვლენაა! — შენიშნა მან, — მერე ორი-დღეი რა გაქვირებაში ვართ!

— შენ დიდხანია უდავლილოდ ხარ? — ჰკითხა რუბანოვსკიმ.

— მესამე თვეა. მე, ძმაო, ბევრი ალაგი გამოვიცვალე. ვერც ერთ ფაბრიკანტთან, მექაზნესთან, ვერც ერთ ამგვარ ტუზთან ვერ შევთანხმდი, ვერ ვიცხოვრე. ყველას მხოლოდ ის უნდა, რომ შენზე თავსუფლად აქენოს ცხენი. არ უნდა გქონდეს საკუთარი ფიქრი, აზრი, შეხედულობა, უნდა იყო მხოლოდ მანქანა და სხვა არაფერი. მაგრამ ბოლოს გაწყდება მოთმინების ძაფი და შენც ანებებ თავს. მერე იწყებ წანწალს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. კიდევ კარგი, ადგილის შოვნაში ბედი მაქვს. აქაც, მოსკოვში, და პეტერბურგშიაც მყვანან ნათესავები. წარმოიდგინე, ქირივით მეჯავრებიან, იმათაც ვეჯავრები, მაგრამ მოვალეობად სთვლიან ალაგი მიშოვონ რაღაც გვარიშვილობის დასაცველად.

— ეჰ, მეგობარო! მე მაგისთანა ნათესაობასაც მოკლედ-ბული ვარ. — მწარე ღიმილით უბასუხა რუბანოვსკიმ. მასში იხატებოდა მღელვარება, რომ სერგეევი ადგილზე იყო, ის-კი-არა. ბედნიერი ახხანაგი ისე აღელვებდა მას, როგორც ჯან-სალი-ავდემყოფს.

სერგეევი ამ შეკრავა, სიტყვებზე

— ჩემი საქციელი საოცარია, — უთხრა სერგეევმა, — თუ გინდა, საზოხადარც. ყოველთვის ვიშხამები, როცა მჭირდება დახმარება ნათესავებისა. ერთი იღეა, მისწრაფება მაქვს. ჩემი მისწრაფებაა მცირე კაპიტალის შექმნა და თავისუფალ საქმის შოვნა. მე არ ვოცნებობ ფუფუნების ცხოვრებაზე, ძალის შექმნაზე, სიყვარულზე, — მე მინდა ვიყო დამოუკიდებელი. ჩემთვის საქირია დამოუკიდებლობა, მე მხოლოდ მაგ იდგით ვცხოვრობ, უმაგისოდ არ მესმის ცხოვრება. ვიცი, ამ იდგის განსახორციელებლად საქირია ძალღიკ გახედ. დღე ვიყო ძალღი, მხოლოდ — დამოუკიდებელი.

— მერე, იშოვე ფული? დაეკითხა რუბანოვსკი.

— როგორ არა! მოვარგოვე, იორნიით უბასუხა სერგეევმა. ყოველთვის, როცა კი ვარემოება თითქოს ხელს მიწყობდა, მაშინვე უეჭველად ისეთი რამ გამოტყვრებოდა, რომ ერთს წუთში ყველაფერს დაანგრევდა, დაარღვედა. ჩემი მფარველნი მაყენებდნენ ალაგზე, მე კი ვერ ვიშენებდი მხოლოდ ირტომ, რომ თვითონ იმ მფარველებმა პატარაობითვე დამამხინჯეს. ათასი საფეხური დამკირების გამატარეს და ეხლა, როდესაც მცირე საწყენს მომაყენებს ვინმე, მზადა ვარ მაშინვე პირში ვეცე, — ვერ ვიტან. მაგრამ, აი, ჩემს ბინასაც მივალწით, — აქ ვცხოვრობ.

იმით გაიარეს პატარა ტალახიანი ეზო, რომლის შუა-ალაგას მოსჩანდა დამველი-ბული აივანი

— ფრთხილად, არ წაიქცე! — ეუბნებოდა ვინმე მწვერვალზე სერგეევი უკან მდგომ რუბანოვსკი. ხომ ხედავ, რა დარბაზებია. აი, ეხლა აქეთ!

მეგობრებმა შევიდნენ ერთ პატარა ბნელ ოთახში. თხელ კედელს იქით სამზარეულოდან ისმოდა ერბოს შიშინი და დანით ხორცის კეჭვა. თევზისა და ხავის სუნით ოთახი გაგვე-ბული იყო.

— სამოვარი! — გასძახა სერგეევმა სამზარეულოში. პასუხად მოესმა ღუღუღუნე მზარეულისა.

— მარდად! — გაიმოვრა სერგეევმა. — ეკრე, ჩემო მეგობარო, სიმკაცრეს ვადგივარ და ამითი კამაქეს თავი. ვალი დავიდე უადგილობის გამო; სახლის პატრონი ყვირის, მზარეული ბუტბუტებს და ძაღვმომრებია-ლა ვინსნი თავს. — ამ სიტყვებთან მან გადმოიღო ერთი ბოთლი არაყი და პატარა ნაჭერი ყველისა. მეგობრებმა გადაჰკრეს თითო ჭიქა. რუბანოვსკიმ კიდევ დაისხა მეორე, სერგეევმა გეზათ დაუწყო ცქერა ცოტა ხნის შემდეგ მზარეულმაც გამოიტანა ნახევრად მოკაკული სამოვარი ჩაის ჭურჭლით. მზარეულს უკან კარებში გამოჩნდა ძალზე გააკაკიებული სახე სახლის პატრონისა.

— თუ ხელიდანაც...

მაგრამ სერგეევმა აღარ დაათაკებინა, კარები მიუჯახუნა. ამის შემდეგ სამზარეულოში დიდხანს კიდევ ისმოდა ლანძღვა-გინება სახლის პატრონისა.

— სულ ეგრე ვჩხუბობთ, ძმაო, — უთხრა სერგეევმა, — მაგრამ შენ რათა ხარ სულ ჩუმად, უქეიფოდ ხომ არა ხარ? კარგა ხანს არ მისცა რუბანოვსკიმ პასუხი.

— არ გვეცხოვრება ამ ქვეყნად! — ბოლოს ძალდატანებით ამოსატყვა მან.

სერგეევმა იგრძნო, რომ ეს სიტყვები უბრალო ფრაზა-კი არ იყო, არამედ გულის სიღრმიდან ამონაკნესი ხმა უბედურ რუბანოვსკისა.

— სწორედ, — უბასუხა სერგეევმა, — ცხოვრება მწარე ხუმრობა ყოფილა. წელან შენ მოურიღებელი ლუკმის მგლეჯავი დამარქვი, — პირადად მე-კი არა, ვინც ალაგი წავართვა, — ნუ გგონია, რომ მეწყინა. ჩვენ ხომ იმის მეტს არას ვაეკეთებთ, რომ ერთმანეთს ვართმევთ ლუკმას. რასაკარგვლია, ჩვენ ამას ვერ წარმოვადგენდით, როცა სასწავლებელს ვათავებდით და ვადიდებდით მეცნიერებას, სახალხო შრომას, მეგობრულ კავშირს, პოეზიას. ეხლა-კი, რაც ცხოვრებაში გამოვედით, ხედავ, — დღეს გჭირია ცხოვრება, ხვალ, ზეგ და ბოლოს სიცოცხლეც გმეზრდება, აღარ გინდა.

— მე მაგის სურვილის უფლებაც არა მაქვს, — უთხრა რუბანოვსკიმ. — მე არ შემძლიან უარყო სიცოცხლე, რადგანაც ჩემს ოჯახს სწყურიან იგი.

— მართალია, მიუგო სერგეევმა და ღრმა ფიქრებში ეცა.

სერგეევს ჩვეულებად ჰქონდა ხელად ჩაფიქრება, და ეეწყებოდა კარ-მიდამოსი და დროებით შორს სადმე გადაფროს მისი ფიქრი მოულოდნელი, უცები იყო; ასეთივე იყო გამნი ფხიზლებაც.

— რა უნდა გითხრა, — წამოიძახა ფიქრის შემდეგ სერგეევმა: გამაცანი შენი ოჯახი.

რუბანოვსკიმ უკმაყოფილოდ გადახედა.

— ჩემი ოჯახი მწარე ღღეშია, — ცრუ ღიმილით მიუგო მან.

— შენ მაინც გამაცანი, დაბეჯითებით გაუმეორა სერგეევმა.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.